დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

დიმიტრი გეგენავა, ზურაბ მაჭარაძე

კაზუსები საკონსტიტუციო სამართალში

დამხმარე სახელმძღვანელო

თბილისი

2013

„კაზუსები საკონსტიტუციო სამართალში“ განკუთვნილია საკონსტიტუციო სამართლის თემატიკით დაინტერესებული პირებისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამის უმცროსკურსელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ.

კრებული იბეჭდება დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებისა და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.

ყდის დიზაინი: ზურაბ ბეჟაშვილი

დიმიტრი გეგენავა

გამოცემაზე პასუხისმგებელი რედაქტორი: თამარ ჭალიძე

© დიმიტრი გეგენავა, ზურაბ მაჭარაძე, 2013

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2013

წინათქმა

„კაზუსები საკონსტიტუციო სამართალში“ საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით შედგენილი სავარჯიშოების კრებულია. წიგნში თავმოყრილია სახელმწიფო მოწყობისა და ადამიანის უფლებათა სამართლის კაზუსები, რომელთა დამუშავება დაეხმარება საკონსტიტუციო სამართლის შესწავლით დაინტერესებულ სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში.

სახელმწიფო მოწყობის სამართლის სფეროდან წარმოდგენილი კაზუსებისთვის ამოხსნის ერთიანი სქემა დადგენილი არაა. რაც შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, კაზუსები გათვლილია თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით ამოხსნაზე.

სავარჯიშოების ამოსახსნელად აუცილებელია საქართველოს კონსტიტუციის გამოყენება. რამდენიმე სავარჯიშოსთვის პასუხის გასაცემად საჭიროა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს კანონი „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ და ა.შ.

ამ პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულის გამოცემა პირველი ცდაა საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება. მომავალში დაგეგმილია საკონსტიტუციო სამართლის პრაქტიკუმის მომზადება, რომელშიც კაზუსებთან ერთად მათი ამოხსნის მეთოდიკა, სქემები და სასწავლო თემატიკის დამხმარე მასალები იქნება თავმოყრილი.

იმედია, „კაზუსები საკონსტიტუციო სამართალში“ მნიშვნელოვან გამოყენებას ჰპოვებს როგორც სასწავლო კურიკულუმებში, ისე პრაქტიკაში.

დიმიტრი გეგენავა

დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის დირექტორი, ასისტენ-პროფესორი

ზურაბ მაჭარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო ასისტენტ-პროფესორი

თბილისი, 2013 წლის 21 თებერვალი

კაზუსები საკონსტიტუციო სამართალში

*

საქართველოს მოქალაქე ზურაბ სამხარაულმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა და მოითხოვა, როგორც საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ძირითადი ტექსტის, ისე მთელი საკანონმდებლო მასივის საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულასთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ მის იმ ნაწილთან, რომელიც აცხადებს რომ „ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები... საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით... ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას". ავტორის განმარტებით, 1921 წლის კონსტიტუციით, საქართველოს პირველ რესპუბლიკაში საპარლამენტო მმართველობის მოდელი ფუნქციონირებდა და ამასთან, მას პრეზიდენტი არ ჰყავდა. სამხარაულის მოსაზრებით, პარლამენტი უბრალოდ ვალდებულია მისი წინადადებები გაიზიაროს, რამდენადაც თავად კონსტიტუციის პრეამბულა ამას პირდაპირ მოითხოვს. პრეამბულას კი, რომელიც კონსტიტუციის არათუ შემადგენელ ნაწილს, არამედ მის წინსართს წარმოადგენს, გაცილებით მეტი იურიდიული ძალა გააჩნია. საკანონმდებლო წინადადებაში მოქალაქე ზურაბ სამხარაული ითხოვდა, მომხდარიყო ქვეყნის მმართველობის წმინდა საპარლამენტო მოდელის განსაზღვრა, ასევე, პრეზიდენტის პოსტის გაუქმება და სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების სხვადასხვა სუბიექტზე გადანაწილება.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია მოქალაქე ზურაბ სამხარაულის მოთხოვნა?

*

მიმდინარე წლის 24 თებერვალს საერთაშორისო ხასიათის შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი, აშშ-ის პრეზიდენტი, და ევროკავშირის პრეზიდენტი ესწრებოდნენ, (რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარმომადგენელი შეხვედრაზე მხოლოდ დამსწრის სტატუსით იმყოფებოდა და მას არანაირ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია) საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციის საკითხი განიხილეს. ერთობლივი შეთანხმებით გადაწყდა, რომ აფხა-

ზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ საქართველო რუსეთის მხრიდან სოლიდურ ანაზღაურებას მიიღებდა და მეორე მხრივ, რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოს მოუგვარებელი კონფლიქტური ტერიტორიები აღარ ექნებოდა, მისი ინტეგრაცია დადებითად გადაწყდებოდა, როგორც ევროკავშირში, ისე - ნატოში.

კითხვა: შეიცავს თუ არა პრეზიდენტის ქმედება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ნიშნებს?

*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის მოქალაქეობის შესახებ“ ხმათა 2/3-ის მხარდაჭერით მიიღო.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა აჭარის უმაღლესი საბჭო მიიღოს აღნიშნული სახის კანონი?

*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბინადრობის წესის შესახებ“ ხმათა 2/3-ის მხარდაჭერით მიიღო, რომელშიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიგრაციისა და ემიგრაციის, აგრეთვე, უცხოელთა დროებით და მუდმივად ყოფნის წესები განსაზღვრა.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა აჭარის უმაღლესი საბჭო მიიღოს აღნიშნული სახის კანონი?

*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,ბათუმის პორტის საქმიანობის შესახებ“ ხმათა 2/3-ის მხარდაჭერით მიიღო.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა აჭარის უმაღლესი საბჭო მიიღოს აღნიშნული სახის კანონი?

*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბული კრიმინოგენული ვითარების გამო მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. ამასთან დაკავშირებით აჭარის უმაღლემა საბჭომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით მიიღო.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა აჭარის უმაღლესი საბჭო მიიღოს აღნიშნული სახის კანონი?

*

საქართველოს პარლამენტში პოლიტიკური პარტიის „ერთიანი საქართველოს“ მხარდამჭერებმა, 2012 წლის მარტის თვეში, საკანონმდებლო ინიციატივის წესით კონსტიტუციური კანონის პროექტი შეიტანეს, რომელიც მიზნად საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლში ცვლილებების განხორციელებასა და მის საფუძველზე ბიკამერალური პარლამენტის იმპლემენტირებას ისახავდა.

პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტი 104 ხმით მიიღო. მხარი მხოლოდ 46-მა დეპუტატმა არ დაუჭირა, რომელთაც აღნიშნეს, რომ საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუცია დაარღვია, რამეთუ ის პირდაპირ აცხადებს, რომ საქართველოში ბიკამერალური პარლამენტის იმპლემენტირება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება.

კითხვა: დაარღვია თუ არა პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუცია?

*

საქართველო 2001 წლის 30 სექტემბერს ქ. ნიუ ორკში 30-მდე სახელმწიფოსთან ერთად საერთაშორისო შეთანხმებას შეუერთდა, რომელიც მიზნად იმავე ქ. ნიუ ორკში, რამდენიმე კვირით ადრე, კერძოდ 9 სექტემბერს მომხდარი ტერაქტების მსგავსი ტერორისტული აქტების პრევენციას ისახავდა. აღნიშნული კონვენციის ერთ-ერთი მუხლი განსაზღვრული

კატეგორიის ტერორისტულ აქტებზე სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

კითხვა: იმოქმედებს თუ არა საქართველოში, აღნიშნული შეთანხმების როგორც კონკრეტულად ის მუხლი, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, ისე მთლიანად შეთანხმება?

*

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სურდა ქ. გალის საკრებულოსთვის განცხადებით მიემართა, საკრებულოს კანცელარიის მუშაკებმა განუცხადეს, რომ რამდენადაც ქ. გალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის, განცხადება აუცილებლად აფხაზურ ენაზე უნდა დაეწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი აღნიშნულ განცხადებას ვერ მიიღებდნენ.

კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება ქ. გალის საკრებულოს კანცელარიის მუშაკს აღნიშნული საუფუძვლით არ მიეღო განცხადება?

*

საქართველოში მოღვაწე პროტესტანტული აღმსარებლობის მოქალაქეებმა საქართველოს სახელმწიფოსა და პროტესტანტულ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმების დადება მოითხოვეს.

მოცემული მართლმადიდებელმა მორწმუნეებმა გააპროტესტეს და აღნიშნეს, რომ საქართველოს კონსტიტუცია კონსტიტუციური შეთანხმების დადების საშუალებას სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან არ ითვალისწინებს. კონსტიტუციით ასეთი უფლება საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მისი ისტორიული როლიდან გამომდინარე მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას გააჩნია. მართლმადიდებელი მორწმუნეების განმარტებით, სახელმწიფოს უფლება არ აქვს პროტესტანტულ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმება დადოს.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება საქართველოს სახელმწიფოს დადოს კონსტიტუციური შეთანხმება პროტესტანტულ ეკლესიასთან?

*

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 5 მაისს 66 ხმით ეროვნული დროშის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა საქართველოს პარლამენტი ამ ქვორუმით მიეღო აღნიშნული გადაწყვეტილება და ხმათა რა რაოდენობა სჭირდება მგავსი გადაწყვეტილებების მიღებას?

*

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ამირან ფუტკარაძემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 27 მარტს მიღებული კანონის გაუქმება მოითხოვა იმ მოტივით, რომ ის საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ამირან ფუტკარაძის განცხადებით, კანონის მიღება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა და უმაღლეს საბჭოს ამის უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციის თანახმად არ გააჩნია.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია ამირან ფუტკარაძის მოთხოვნა?

*

საუდის არაბეთის მოქალაქე ილ-ღაზი ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით საქართველოში დააკავეს. იგი ისრაელის მიერ იძებნებოდა. ისრაელისათვის გადაცემის მუქარით (სადაც მას სიკვდილი ელოდა) დატბორილ საკანში გააჩერეს, რის შედეგადაც მან სამართალდამცავებს საჭირო ინფორმაცია მისცა. ამ ინფორმაციის საფუძველზე ტერორისტული დაჯგუფება გამოააშკარავეს და ტერაქტი აღიკვეთა.

ილ-ღაზი მიიჩნევს, რომ საქართველომ მისი უფლებები დაარღვია.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება? შეაფასეთ მდგომარეობა სამართლებრივად.

*

სამართალდამცავებმა საქართველოს მოქალაქე გრიგოლ მაისურაძე დააკავეს, რომელსაც ბრალი მკვლელობის ჩადენაში ედებოდა. მან გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, რის გამოც იგი ერთი დღე-ღამე აშიმშილეს, გააშიშვლეს და თავდაღმა დაჰკიდეს. ამის შემდეგ ბრალდებულმა ბრალი აღიარა და გამოძიებას მის მიერ ჩადენილი ქმედების დამადასტურებელ სამხილებზეც მიუთითა. სასამართლომ მტკიცებულებათა საფუძველზე მაისურაძე დამნაშავედ სცნო.

კითხვა: დაირღვა თუ არა გრიგოლ მაისურაძის უფლებები?

*

საქართველოს პარლამენტმა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შეიტანა. ცვლილებების მიხედვით, საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 1 მილიონ ლარზე მეტია, დადგენილ საშემოსავლო გადასახადზე დამატებით 2%-ით მეტს გადაიხდიან. ამ თანხით საქართველოს მთავრობა სოციალურად შეჭირვებულთა დახმარების პროგრამების დაფინანსებას გეგმავს.

საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მხეიძემ, რომლის წლიური შემოსავალი რამდენიმე მილიონს აჭარბებს, შესაბამისი კანონი გაასაჩივრა.

კითხვა: რამდენად სამართლიანია მხეიძის მოთხოვნა?

*

ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, რეკრეაციულ ზონებთან ახლოს მდებარე ფაბრიკა-ქარხნები, რომელთაც საწარმოო გამონაბოლქვი გააჩნიათ და გარემოს

აბინძურებენ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ მესაკუთრეებს უნდა ჩამოერთვათ, მათ ადგილას კი პარკები და სკვერები გაშენდეს.

ერთ-ერთი ქარხნის მესაკუთრეს, მურად ახმედოვს მიაჩნია, რომ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად სამართლიანია ახმედოვის მოსაზრება?

*

პარლამენტის გადაწყვეტილებით, პირი საკასაციო სასამართლოს ვერ მიმართავს, თუ წარმომადგენლად ლიცენზირებული ადვოკატი არ ეყოლება. ავსტრიის მოქალაქე კლაუს შროდერმა, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეიტანა და წარმომადგენლად მისი ქართველი ბიზნესპარტნიორი, პროფესიით ეკონომისტი დანიშნა. სასამართლომ არ მიიღო საჩივარი პარლამენტის შესაბამისი ცვლილების საფუძველზე. შროდერს მიაჩნია, რომ კანონმდებლობის მსგავსი დებულება მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია შროდერის მოსაზრება?

*

შვეიცარიის კონფედერაციის მოქალაქე რაიმონ ფაბერი საქართველოში დააკავეს. მას სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება არ მისცეს. რადგან ფაბერმა ინგლისური ენა იცოდა (თუმა მისი მშობლიური ენა გერმანული გახლდათ), გამოძიებამ თარჯიმნის გამოძახება საჭიროდ არ მიიჩნია. ფაბერმა თანხმობა განაცხადა და უთარჯიმნოდ დაჰკითხეს.

კითხვა: დაირღვა თუ არა ფაბერის უფლებები?

*

საჯარო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მუსლიმ სტუდენტებს უნივერსიტეტში ჩადრის ტა-

რება აეკრძალათ. იმ პირებს, რომლებიც დადგენილებას არ შეასრულებდნენ, ჯერ ჯარიმა დაეკისრებოდათ, ხოლო განმეორების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გაირიცხებოდნენ.

ინდოეთის მოქალაქე სარა ნერუს მიაჩნია, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილება მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება?

*

ერთ-ერთი რელიგიური დაჯგუფების წევრები ვანდალიზმის ბრალდებით დააკავეს, რადგან მათი რელიგიური რიტუალი განსაკუთრებული სისასტიკით ცხოველების მოკვდინებას ითვალისწინებდა, რასაც ისინი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ბინაში ახორციელებდნენ.

მათ აეკრძალათ მსგავსი რიტუალის განხორციელება.

კითხვა: დაირღვა თუ არა რელიგიური გაერთიანების წევრთა უფლებები?

*

იემენის მოქალაქე საფარ რაშიდი ქრთამის მიცემის ბრალდებით დააკავეს. თუმცა, რადგან ფაქტი დღესასწაულებს (2 უქმე დღე) დაემთხვა, ხოლო მესამე დღეს სასამართლო ძლიერ გადატვირთული გახლდათ, მას ბრალი მეოთხე დღის 15:00 სთ-ზე წაუყენეს. რაშიდს მიაჩნია, რომ მისი უფლებები დაირღვა.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება?

*

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ქალაქ თბილისის მერი პირდაპირი კენჭისყრის გზით აირჩევა, სხვა თვითმმართველი ერთეულების მერები და გამგებლები კი - არაპირდაპირით. კასპში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე აკაკი ჭილაშვილი მიიჩნევს, რომ კასპის გამგებელიც პირდაპირი წესით უნდა აირჩეოდეს და საარჩევნო

კოდექსის შესაბამისი ნორმა ადამიანის ძირითად უფლებებს არღვევს.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება? შეაფასეთ სამართლებრივად მდგომარეობა.

*

„მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, რომ თუ ნატურალიზებული საქართველოს მოქალაქე მოქალაქეობის მიღებიდან 5 წლის შემდეგ ქართული ენისა და ისტორიის გამოცდას ვერ ჩააბარებს, მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთმევა.

საქართველოს მოქალაქე ფარუკ ბენს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა სამი წლის წინ მიიღო, მიაჩნია, რომ მსგავსი დებულება მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია ფარუკ ბენის მოსაზრება?

*

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით სსიპ „სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა“ გამოფენების ბილეთებზე კერძო მუზეუმებთან და გალერეებთან შედარებით მაღალი ფასი არ შეიძლება დააწესოს.

მუზეუმის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ მსგავსი შეზღუდვა მუზეუმის განვითარებას ეწინააღმდეგება და მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად გამართლებულია მუზეუმის ადმინისტრაციის პრეტენზია?

*

კუბის მოქალაქე მიგელ ბაპტისტა პოლიტიკური დევნილია, რომლის ექსტრადიციასთან დაკავშირებით საქართველომ გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს კანონმდებლობის ახალი დებულებით, ექსტადიციასთან დაკავშირებული

გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ბაპტისტას მიაჩნია, რომ მსგავი ჩანაწერი მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: დაირღვა თუ არა ბაპტისტას უფლებები?

*

კოპტების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ისლამი აგრესიულ რელიგიადაა გამოყვანილი, ხოლო ყოველი მუსლიმი - პოტენციურ ტერორისტად. საქართველოში ამ ფილმის გავრცელება და კინოთეატრებში ჩვენება აიკრძალა.

კოპტების გაერთიანებას მიაჩნია, რომ ამით მათი უფლებები დაირღვა.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანიაა კოპტების მოსაზრება?

*

საქართველოს მთავრობის დადგენილებით სსიპ „მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციისაგან ბავშვთა და მოზარდთა დაცვის სააგენტო“ შეიქმნა, რომლის მიზანიც ტელე-რადიო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციაზე ზედამხედველობაა. ამ საშუალებით, მთავრობა ბავშვთა და მოზარდთა მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციისაგან დაცვას ვარაუდობს. საინფორმაციო საშუალებებს დაევალათ, რომ სატელევიზიო პროგრამების ბადე და საინფორმაციო გადაცემების სიახლეები სააგენტოს წინასწარ გადაუგზავნონ.

ტელეკომპანია „ბრავოს“ მიაჩნია, რომ დადგენილებით მისი უფლებები ირღვევა.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება? შეაფასეთ მდგომარეობა სამართლებრივად.

*

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პროკურორის ბრძანების საფუძველზე, შესაძლებელია პირს შეეზღუდოს თავისუფლად გადაადგილების უფლება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ მან დანაშაული ჩაიდინა ან ამზადებს, აპირებს მის ჩადენას.

კითხვა: რამდენად შეესაბამება ცვლილებები კონსტიტუციის მეორე თავს?

*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, გიორგი ლომიძეს მიაჩნია, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლას სახელმწიფო სრულად უნდა აფინანსებდეს, რადგან ეს მისი სოციალური მოვალეობაა. იგი სახელმწიფო გრანტების სისტემას არასამართლიანად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ნაწილობრივი დაფინანსება არღვევს მის უფლებებს.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება?

*

საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანება, რომელიც ეთნიკური უმცირესობის სათვისტომოს წარმოადგენს, თავის წევრებს სახელწიფო ენის ნაცვლად მშობლიურის გამოყენებას აიძულებს. გაერთიანების გადაწყვეტილებას თუ არ დაემორჩილებიან, მათ შეურაცხყოფენ და ხშირად მატერიალურ ზიანსაც აყენებენ.

გაერთიანებას საქმიანობა აეკრძალა. სათვისტომო მიიჩნევს, რომ მათი უფლებები ირღვევა.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება? შეაფასეთ მდგომარეობა სამართლებრივად.

*

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება სანამ სასამართლოში გასაჩივრდება, აუცილებელია იგი ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილოს. შპს „თემიდა“ მიიჩნევს, რომ ეს ნორმა სასამართოსათვის მიმართვის უფლებას ზღუდავს.

კითხვა: რამდენად სამართლიანია შპს „თემიდას“ მოსაზრება?

*

საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტით ზოგიერთი სახის ინფორმაციის გავრცელება შეიზღუდა, რათა ეპიდემიას ხალხში პანიკა არ მოჰყოლოდა.

გაზეთ „საქართველოს მოამბეს“ მიაჩნია, რომ მოსახლეობა ეპიდემიის თაობაზე ნებისმიერ ინფორმაციას უნდა ფლობდეს, ხოლო დეკრეტი ადამიანის ძირითად უფლებებს არღვევს.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება? შეაფასეთ მდგომარება სამართლებრივად.

*

საქართველოს საარჩევნო კოდექსით საპრეზიდენტო კანდიდატის რეგისტრაციისათვის აუცილებელი მოთხოვნა ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევრობა გახდა. საქართველოს მოქალაქე მიხეილ ოცხელი, რომელიც აცხადებს, რომ არცერთ რელიგიას არ აღიარებს, მიიჩნევს, რომ მსგავსი დებულება მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად სამართლიანია მოთხოვნა?

*

საქართველოს მოქალაქე ზურაბ ამაშუკელი ნიდერლანდების სამეფოში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი. საქართველომ ნიდერლანდების სამეფოს მოთხოვნით ზურაბ ამაშუკელი გადასცა მას. საქართველოს მოქალაქეს მიაჩნია, რომ საქართველომ მისი უფლებები დაარღვია, რადგან ქვეყანა საკუთარ მოქალაქეს უნდა მფარველობდეს.

კითხვა: რამდენად სამართლიანია ზურაბ ამაშუკელის მოთხოვნა?

*

„სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 100 კილოგრამზე მეტი წონის საქართველოს მოქალაქეები სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლდნენ.

საქართველოს მოქალაქე ნუგზარ მიშველაძე, რომელიც აღნიშნულ სტანდარტს არ აკმაყოფილებს, ჯარში გაიწვიეს. იგი მიიჩნევს, რომ მსგავსი ნორმა დისკრიმინაციულია და ყველა მოქალაქე სახელმწიფოს წინაშე თავის მოვალეობებს თანაბრად უნდა ასრულებდეს.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია მოთხოვნა?

*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლემ სასკოლო უნიფორმა უნდა ატაროს, რომელთა დამზადებასაც სახელმწიფო საკუთარ თავზე აიღებს. აღნიშნულ ბრძანებას მოსწავლეთა ნაწილის მშობლები არ ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ იგი მათ უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად სამართლიანია მშობლებისა და მოსწავლეების მოსაზრება?

*

გიორგი გოგსაძეს ქ. რუსთავის კეთილმოწყობის სამსახურში გამასწორებული სამუშაოები მიესაჯა, სადაც მას ქუჩების დაგვა-დასუფთავება ევალებოდა. მოქალაქე გოგსაძეს მიაჩნია, რომ სასჯელის მსგავსი ფორმა შეურაცხმყოფელია და საქართველოს კონსტიტუციასა და ევროკონვენციას ეწინააღმდეგება.

კითხვა: დაადგინეთ სასჯელის კონსტიტუციურობა და დაირღვა თუ არა ადამიანის ძირითადი უფლებები?

*

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 22:00 სთ-ის შემდეგ მაუწყებლის ეთერში გადაცემული ნებისმიერი მხატვრული ფილმი ქართული სუბტიტრებით ორიგინალში უნდა იქნეს ნაჩვენები.

საქართველოს მოქალაქე დიმიტრი ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ფილმებს ქართულ ენაზე უნდა აჩვენებდეს და ამით მისი უფლებები ირღვევა.

კითხვა: დაირღვა თუ არა მოქალაქე ბერძენიშვილის ძირითადი უფლება?

*

საომარი მდგომარეობის დროს შექმნილმა სამხედრო სასამართლომ პოლკოვნიკ ლაღიძეს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რაც იმით დაასაბუთა, რომ საომარი მდგომარეობა განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს წარმოადგენს, რომლის დროსაც შეიძლება ადამიანის ძირითადი უფლებები შეიზღუდოს.

კითხვა: რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება? შეაფასეთ სამართლებრივად მდგომარება.

*

ესპანეთის მოქალაქე სანჩესს თავისი შემოქმედების, მხატვრული ტილოების გამოფენაზე ეროვნულ გალერეაში უარი განუცხადეს. გალერეის ადმინისტრაციის განცხადებით, მათ ერთ-ერთმა რელიგიურმა გაერთიანებამ მიმართა, რომლის განმარტებით, მხატვრის სტილი და ტილოებზე გამოსახული განსაკუთრებული სისასტიკე, ახალგაზრდებს აგრესიულად განაწყობდა და რელიგიური გაერთიანების უფლებას არღვევდა.

მხატვარი მიიჩნევს, რომ გალერეა მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია მხატვრის მოსაზრება?

*

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, თუ შეკრება ან მანიფესტაცია მჭიდროდ დასახლებულ უბანში უნდა გაიმართოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფრთხილება. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წინასწარი ნებართვის აუცილებლობა დაწესდა, რომელსაც ეს უკანასკნელი მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშენოწილობიდან გამომდინარე გასცემს.

საქართველოს მოქალაქე მარიამ ღუბიანურს მიაჩნია, რომ კანონი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

კითხვა: ირღვევა თუ არა ძირითადი უფლებები?

*

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში 3%-იან ბარიერს გადალახავენ, სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიას, სახელწოდებით - „საქართველოს დიდება“, რომელმაც არჩევნებში ხმათა 2,9% დააგროვა, მიაჩნია, რომ ამ წესით მისი უფლებები ირღვევა და განაწილების წესი უსამართლოა.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება? შეაფასეთ სამართლებრივად მდგომარება.

*

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა „კრიმინალური მენტალიტეტისა და ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება გამოსცა, რომელიც მიზნად სამიზნე ჯგუფის უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის შესაბამისი პროგრამის განხორციელებას ისახავდა. პროგრამის თანახმად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესე-

ბულებებში არასრულწლოვან დამნაშავეთათვის სოციალური მუშაკები სპეციალურად უნდა მოემზადებინათ, რომლებიც არასრულწლოვნებს რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაში უნდა დახმარებოდნენ. ბრძანების ერთ-ერთი დანართი სოციალური მუშაკობის მაძიებლის მიერ სპეციალური (დახურული) ფორმულარის შევსებას ითვალისწინებდა, რომელშიც ერთ-ერთი მოთხოვნა სექსუალური ორიენტაციის მითითება იყო. ფორმულარებზე დაშვება მხოლოდ სპეციალური კომისიის წევრებს ჰქონდათ, რომლებიც შემდეგ ეტაპზე გამსვლელ კანდიდატებს არჩევდნენ.

საქართველოს მოქალაქე დავით ბერიშვილი, რომელმაც ბრძანების შესაბამისად სამინისტროს სპეციალურ კომისიას საჭირო დოკუმენტაცია წარუდგინა, ფორმულარის ხსენებული მოთხოვნის შესრულებაზე უარი თქვა და შესაბამისი გრაფა ღიად დატოვა, რის გამოც, მას განაცხადის განხილვაზე უარი უთხრეს. მოქალაქეს მიაჩნია, რომ მინისტრის ბრძანება მის ძირითად უფლებებს არღვევს და მას საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალება არ ეძლევა.

კითხვა: დაირღვა თუ არა დავით ბერიშვილის უფლებები?

*

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 18 ივნისის №103 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეგისტრაციის წესის“ 21-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეთა ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომელთაც ანარქიული იდეოლოგია, მსოფლმხედველობა გააჩნიათ, საჯარო რეესტრმა დარეგისტრირებაზე უარი უნდა განუცხადოს.

საქართველოს მოქალაქე, მიხაკო წერეთელმა საჯარო რეესტრს პოლიტიკური გაერთიანების, „საქართველოს ანარქისტთა კავშირის“, დარეგისტრირების მოთხოვნით მიმართა. მან საჭირო დოკუმენტაცია წარადგინა, მათ შორის, პარტიის წესდება და პოლიტიკური მანიფესტი, რომელშიც აღნიშნული გახლდათ გაერთიანების იდეოლოგია.

საჯარო რეესტრმა, მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მიხაკო წერეთელს პოლიტიკური გაერთიანების დარეგისტრირებაზე უარი განუცხადა. მოქალაქე წერეთელი მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი უფლებები და მინისტრის ბრძანება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

კითხვა: დაირღვა თუ არა ძირითადი უფლება?

*

საქართველოს მოქალაქე გურამ ანდღულაძე საქართველოში შიდსით დაავადებულ პირთა მდგომარეობას იკვლევს. ამ მიზნით, მან სამინისტროს ოფიციალური განცხადებით მიმართა და ყველა აღრიცხული დაავადებული პირის მოანცემი მოითხოვა, რათა მას მათთან უშუალოდ გასაუბრება შეძლებოდა. სამინისტრომ მსგავსი ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა.

გურამ ანდღულაძე მიიჩნევს, რომ სამინისტრო ვალდებულებას არ ასრულებს და კონსტიტუციას არღვევს.

კითხვა: დაირღვა თუ არა მოქალაქის ძირითადი უფლება?

*

საქართველოს პარლამენტმა „ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი მიიღო, რომლითაც განისაზღვრა, რომ საქართველოში მცხოვრებ პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია სამკურნალო დაწესებულებებმა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ავტომატურად უნდა აცნობონ.

საქართველოში მცხოვრები აპატრიდი სერგეი ბუნინი მიიჩნევს, რომ კანონი მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად სამართლიანია ბუნინის მოსაზრება?

*

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით 1000 ლარამდე ღირებულების ქონებრივ დავას სასამართლო აღარ განიხილავს. ცვლილება განპირობებულია სასამართლოების გადატვირთულობით.

შპს „დაცვის სამსახური“ მიიჩნევს, რომ პრაქტიკაში ხშირია მათი კლიენტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა და უმრავლესობის მიერ გადასახდელი თანხა 1000 ლარს არ აღემატება. ჯამში კი საკმაოდ დიდი ოდენობის

თანხა გამოდის, რომლის მიუღებლობის შემთხვევაში ორგანიზაცია მნიშვნელოვნად დაზარალდება.

შპს „დაცვის სამსახურს“ მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული შესაბამისი ცვლილებები მის უფლებებს არღვევს.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია შპს „დაცვის სამსახურის“ მოსაზრება?

*

საქართველოს პარლამენტმა დადგენილება ერთხმად (150 დეპუტატის მხარდაჭერით) მიიღო, რომლის საფუძველზეც პარლამენტი დროებით ზუგდიდში შეიკრიბება. მოცემული გადაწყვეტილების მიზეზად ის გარემოება დასახელდა, რომ ამით შესაძლებელია აფხაზეთის ტერიტორიულ ერთეულთან კიდევ უფრო დაახლოვება, როგორც გეოგრაფიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა პარლამენტი მიეღო აღნიშნული სახის გადაწყვეტილება?

*

საქართველოს პარლამენტმა საქართველოს პარლამენტის მუდმივი ადგილსამყოფლის შეცვლის შესახებ დადგენილება 3/4-ის უმრავლესობით მიიღო.

კითხვა: იყო თუ არა უფლებამოსილი პარლამენტი მიეღო ეს გადაწყვეტილება?

*

მიმდინარე წლის 21 მაისს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა გადმოლახა და უპირველეს მიზნად ქ. ქუთაისის, როგორც საპარლამენტო ქალაქის, დაპყრობა დაისახა. საქართველოს პრეზიდენტმა საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დეკრეტი გამოსცა. პარლამენტი შეიკრიბა ქ. თბილისში, რათა მოცემული ბრძანებულება დაემტკიცებინა.

კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება პარლამენტს შეკრებილიყო ქ. თბილისში?

*

მიმდინარე წლის 21 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოლახა რუსეთის ფედერაციის ჯარმა და პირველად მიზნად ქ. ქუთაისის, როგორც საპარლამენტო ქალაქის, დაპყრობა განიზრახა. პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით პარლამენტი ქ. თბილისში შეიკრიბა, რათა დაემტკიცებინა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტი საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება პარლამენტის თავმჯდომარეს მოეწვია პარლამენტი ქ. თბილისში?

*

საქართველოს მოქალაქე დავით ეგნატაშვილმა, რომელიც 90-იანი წლებიდან საქართველოდან წასული იყო და სამეწარმეო საქმიანობას რუსეთის ფედერაციაში ეწეოდა, განიზრახა, მისივე მშობლიური რაიონის, ქ. გორის განვითარებაში მონაწილეობა. ამ მიზნით მან გადაწყვიტა კენჭი იყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ამავე ქალაქში. უნდა აღინიშნოს, რომ დავით ეგნატაშვილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა არასოდეს მიუღია და ის მუდამ საქართველოს მოქალაქედ რჩებოდა, თუმცა საქართველოში იშვიათად ჩამოდიოდა. უკანასკნელად სამსახურეობრივი ვიზიტით 13 თვის უკან იმყოფებოდა.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება დავით ეგნატაშვილს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში?

*

მოქალაქე ელენე ჭანკვეტაძემ გადაწყვიტა პოლიტიკური პარტია „ერთიანი ეროვნული ფრონტის“ პარტიული სიით 25 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. მას 21 წელი უსრულდებოდა 26 ოქტომბერს. მოცემულ ფაქტობრივ გარემოებას ყურადღება არავინ მიაქცია და

მართლაც, 25 ოქტომბერს არჩევნებში მისმა პოლიტიკურმა პარტიამ გაიმარჯვა. არჩევნების შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების ჩატარებიდან ერთ კვირაში გამოაცხადა. პოლიტიკურმა პარტიამ „ჩვენ საქართველოსთვის“ აღნიშნული ფაქტი გააპროტესტა და აღნიშნა, რომ ელენე ჭანკვეტაძეს არჩევით საქართველოს კონსტიტუციავ. სანამ დავა სასამართლოში გადაწყდებოდა, ახლადარჩეული პარლამენტი 9 ნოემბერს შეიკრიბა და საქმიანობას შეუდგა.

კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი? ჰქონდა თუ არა ელენე ჭანკვეტაძეს უფლება მონაწილეობა მიეღო 25 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში?

*

2014 წლის ბიუჯეტის შედგენისას გადაწყდა, რომ მსოფლიო და მათ შორის საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, სახელმწიფო აპარატის ბიუჯეტი სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების ნაწილში უნდა შემცირებულიყო. გადაწყდა, აგრეთვე, რომ პარლამენტსაც შემცირებოდა დაფინანსება 5%-ით წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით. პროექტითვე განისაზღვრა, რომ დეპუტატის ანაზღაურება შემცირებულიყო 3%-ით. მოცემულ საკითხზე პარლამენტი და მთავრობა ვერ შეთანხმდნენ, რის შედეგადაც პარლამენტმა იგი არ მიიღო. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტმა სახელმწიფო ბიუჯეტი დეკრეტით დაამტკიცა და პარლამენტი დაითხოვა.

კითხვა: შეესაბამებოდა თუ არა პრეზიდენტის ქმედება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია?

*

საქართველოს პრეზიდენტმა 26 აგვისტოს განკარგულება გამოსცა, რომლითაც 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. 29 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა, მომხდარი მიწისძვრის გამო, რამაც ქვეყანაში მასობრივი ნგრევა გამოიწვია, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნული მდგომარეობა 20 ოქტომბერს უნდა გაუქმებულიყო,

თუმცა მიწისძვრა კვლავ განმეორდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის კიდევ ერთი თვით გაგრძელების შესახებ. საპარლამენტო არჩევნები, ბუნებრივია, 26 ოქტომბერს ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოტივით არ ჩატარდა. აღნიშნული მდგომარეობა 20 ნოემბერს გაუქმდა. საქართველოს პრეზიდენტმა 22 ნოემბერს გამოსცა განკარგულება საპარლამენტო არჩევნების 22 იანვარს ჩატარებასთან დაკავშირებით.

კითხვა: დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია?

*

საქართველოს პრეზიდენტმა მიმდინარე წლის 26 მარტს წარგენილი მთავრობისადმი 3-ჯერ ზედიზედ ნდობის არ გამოცხადების მოტივით პარლამენტი დაითხოვა და რიგგარეშე არჩევნები იმავე წლის 25 მაისს დანიშნა. მოცემული არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიაში დისლოცირებულმა 37-ე დივიზიამ ისარგებლა და 20 მაისს როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოიჭრა. საქართველოს პრეზიდენტმა საომარი მდგომარეობის შესახებ ბრძანებულება გამოსცა. აღნიშნული მდგომარეობის დასამტკიცებლად კი პარლამენტი მოიწვია. პარლამენტმა, რომელიც პრეზიდენტმა დაშალა, მასზე ერთგვარი პოლიტიკური შური იძია და პრეზიდენტის ბრძანებულება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ არ დაამტკიცა.

კითხვა: უნდა გაუქმდეს თუ არა საომარი მდგომარეობა და ასევე, უნდა ჩატარდეს თუ არა არჩევნები 25 მაისს?

*

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, რომელიც ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში ტარდებოდა (პრეზიდენტის ბრძანებულება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ პარლამენტმა არ დაამტკიცა) მონაწილეობა ამომრჩევლების რეკორდულად მცირე როდენობამ მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აქტივობა მხოლოდ თბილისში შეინიშნებოდა. დანარჩენ

საარჩევნო ოლქებსა და უბნებში ძალიან მცირე აქტივობა დაფიქსირდა. თუმცა, ვინაიდან არჩევნებში მონაწილეობა მაინც მიიღო კანონით განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობაზე მეტმა ამომრჩეველმა, ცესკომ შედეგები შეაჯამა და გამარჯვებულად დაასახელა პოლიტიკური პარტია „მშვიდობიანი საქართველო“. პარლამენტი არჩევნებიდან ერთი თვის თავზე შეიკრიბა, თავად პარლამენტმა პროპორციული არჩევნები ჩატარებულად გამოაცხადა, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება არ სცნო. აღნიშნულის შემდეგ პრეზიდენტმა საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ბრძანებულება კიდევ ერთხელ გამოსცა, რომელიც ამჯერად პარლამენტის მიერ დამტკიცებული იქნა.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა პარლამენტი დაემტკიცებინა პრეზიდენტის ბრძანებულება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ?

*

ქ. გორში მცხოვრებმა 5000-მა მოქალაქემ საქართველოს პარლამენტის წინ შიმშილობა დაიწყო და ქ. გორის მაჟორიტარი დეპუტატის პარლამენტიდან გამოწვევა მოითხოვა, რადგან ის წინასაარჩევნოდ გაცემულ დაპირებებს საერთოდ არ ასრულებდა.

კითხვა: შეესაბამება თუ არა მოქალაქეთა მოთხოვნა დეპუტატის გამოწვევის შესახებ საქართველოს კონსტუტუციას?

*

საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ლევან სამხარაძე მოქალაქეების ე. გვაზავას, ლ. შურღაიას და დ. მეკოკიშვილის ჩვენების საფუძველზე პოლიციამ 27 დეკემბერს საღამოს 19:35 სთ-ზე დააკავა. ჩვენებების თანახმად, დეპუტატმა მოქალაქე ლ. პერტიას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა 24 დეკემბერს საღამოს 19:45 სთ-ზე.

კითხვა: ჰქონდა თუ არა პოლიციას 27 დეკემბერს 19:45 სთ-ზე დეპუტატის დაკავების უფლება?

*

საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ლავრენტი ლიპარტია მიმდინარე წლის 24 მაისს აქციაზე იმყოფებოდა, რომელსაც მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერები მართავდნენ. დეპუტატმა აქციაზე მისვლა და იქ ყოფნა მხოლოდ დღის პირველ საათამდე მოახერხა, რამდენადაც სამ საათზე პარლამენტში გამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი. აღნიშნულ აქციაზე დეპუტატის გამოჩენას აქციაში მონაწილეებთან სიტყვიერი შეკამათება მოჰყვა, რაც ჩხუბში გადაიზარდა. აღნიშნული კამათის დროს დეპუტატმა აქციის ერთ-ერთ მონაწილეს მძიმე ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა, რომელიც რამდენიმე საათში გარდაიცვალა. პოლიციამ, რომელიც შემთხვევის ადგილიდან იქვე, მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა, თუმცა დეპუტატი არ დაუკავებია. დეპუტატმა პარლამენტში 15:00 საათისთვის დაგეგმილი გამოსვლა დაუბრკოლებლად შეძლო. საკითხში გარკვევის შემდეგ პოლიციამ ღამის 23:25 სთ-ზე დეუტატი ლავრენტი ლიპარტია დააკავა.

კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება პოლიციას დაეკავებინა დეპუტატი?

*

მოქალაქე ლამარა რჩეულიშვილმა გადაწყვიტა საქართველოს პარლამენტის დეპუტატ ნინელი ჩხეიძისთვის, რომელიც, მართალია, არ იყო იმ ქალაქის მაჟორიტარი, რომელშიც ცხოვრობდა, თუმცა მისი ბავშვობის მეგობარი გახლდათ, ერთი საიდუმლოება გაანდო. ლამარა რჩეულიშვილმა დეპუტატს მოუყვა, როგორ მოიპარა სამსახურში 30 000 აშშ დოლარი უფროსის სეიფიდან, რომელიც ამ უკანასკნელს შემთხვევით ღია დარჩა. დეპუტატმა ურჩია, რომ აღნიშნული პოლიციაში ნებაყოფლობით ეღიარებინა და შესაბამისად, სასჯელს შეიმსუბუქებდა. თუმცა აღნიშნლი რჩევა ლამარა რჩეულიშვილმა არ გაითვალისწინა და გადაწყვიტა პოლიციისთვის არაფერი ეთქვა. ძიებისას პოლიციამ მაინც მიაგნო ბოროტმოქმედს და ლამარა რჩეულიშვილი დააკავა. მან მომხდარი ფაქტი არ აღიარა. პოლიციამ გამოავლინა, რომ მას დეპუტატისთვის ჰქონდა განდობილი ყოველივე და შესაბამისად, მისი სასამართლოზე დაკითხვა გადაწყდა. დეპუ-

ტატმა განაცხადა, რომ რამდენადაც ის იმ ქალაქის მაჟორიტარ დეპუტატს არ წარმოადგენს, სადაც ლამარა რჩეულიშვილი ცხოვრობს, ამდენად უფლება აქვს, მოუყვეს სასამართლოს რაც იცის ყველაფერი და დაეხმაროს სასამართლოს სიმართლის დადგენაში. დეპუტატმა სასამართლოს მოუყვა, რაც მას ლამარა რჩეულიშვილმა გაანდო და შედეგად სასამართლომ ეს უკანასკნელი დამნაშავედ სცნო და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კითხვა: დაარღვია თუ არა ნინელი ჩხეიძემ საქართველოს კონსტიტუცია?

*

მოქალაქე ნინელი გაგუამ, იმის შიშით, რომ პოლიცია მის ბინაში ჩხრეკას ჩაატარებდა და დიდი ალბათობით იმ წერილობით მტკიცებულებებს მიაგნებდა, რომელსაც მის მიერ ჩადენილი თაღლითობის საქმის ძიების პროცესში არსებითი ხასიათი ჰქონდა, გადაწყვიტა მისი ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატისთვის გადაეცა აღნიშნული ნივთიერი მტკიცებულებები. დეპუტატმა აღნიშნული მტკიცებულების მიღებაზე უარი განაცხადა, თუმცა დაჟინებული თხოვნის შემდეგ მაინც მიიღო. ამის შემდეგ დეპუტატმა მოცემული მტკიცებულება პოლიციას გადასცა. მოცემული განმარტა იმ მოტივით, რომ თუ ის ამას არ გააკეთებდა, შესაძლებელია პოლიციას ის დანაშაულის დაფარვის საფუძვლით პასუხისგებაში მიეცა.

კითხვა: ჰქონდა თუ არა დეპუტატს, ერთი მხრივ, უარი ეთქვა მოცემული მტკიცებულების მიღებაზე და მეორე მხრივ, გადაეცა ის პოლიციისათვის?

*

მოქალაქე ბერიშვილმა სასამართლოში საჩივარი იმ მოტივით შეიტანა, რომ საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა გიორგი გიორგაძემ მის მიერ გაკეთებული განცხადებებით მას სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა. აღნიშნულის გარდა, მას, როგორც პატიოსან მეწარმეს საქმიანი რეპუტაცია შეელახა. სასამართლოში ბერიშვილმა მოითხოვა, რომ დეპუტატმა გიორგაძემ უარყოს პარლამენტში გაკეთებული განცხადება, მოიხადოს ბოდიში და აანაზღაუროს 200000 ლარის

ოდენობით ის ზიანი, რომელიც მას საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მიადგა.

კითხვა: შეიძლება თუ არა დეპუტატის მიმართ აღნიშნული ხასიათის მოთხოვნის დაყენება?

*

საქართველოს პარლამენტის წევრმა გრიგოლ კოვზანაძემ საკმაოდ მომგებიანი სამეწარმეო საზოგადოების აქციების 78%-ის შეძენა გადაწყვიტა. დეპუტატმა ეს განძრახვა სისრულეში მოიყვანა. აღნიშნული გარემოების შესახებ როგორც კი შეიტყვეს ფრაქცია „მომავალი საქართველოსთვის“ წევრებმა, მაშინვე პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართეს და განუცხადეს, რომ დეპუტატი კოვზანაძე სამეწარმეო საქმიანობას ეწევა და აღნიშნული მოტივით მას დეპუტატის სტატუსი უნდა შეუწყდეს. პარლამენტის თავმჯდომარემ განიხილა საკითხი, მიიღო შესაბამისი დასკვნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისგან და შემდეგ დეპუტატის სტატუსი შეუწყვიტა.

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია?

*

საქართველოს მე-7 მოწვევის დეპუტატს ირაკლი ლემონჯავას პარლამენტმა უფლებამოსილება იმ მოტივით შეუწყვიტა, რომ მის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ლემონჯავამ გადაწყვიტა გაესაჩივრებინა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში, ისე, მასთან ერთად პირდაპირ უზენაეს სასამართლოში შეეტანა საჩივარი პარლამენტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობდა და უზენაეს სასამართლოში შეტანილ საჩივარში აღნიშნავდა, რომ მას პარლამენტის დეპუტატის იმუნიტეტი იცავდა და სასამართლოს უფლება არ ჰქონდა ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა და გამამტყუნებელი განაჩენი გამოეტანა.

კითხვა: რა პროცედურული დაღღვევები იქნა დაშვებული?

*

პარლამენტის დეპუტატს, მამუკა რაზიშვილს პარლამენტმა უფლებამოსილება იმ მოტივით შეუწყვიტა, რომ სასამართლომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. დეპუტატმა აღნიშნული უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და განმარტა, რომ პარლამენტს უფლება არ ჰონდა მისთვის უფლებამოსილება შეეწყვიტა, რადგან მას ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებული ჰქონდა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ის დამნაშავედ იქნა ცნობილი.

კითხვა: რა პროცედურული დარღვევები იქნა დაშვებული?

*

საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი ნებიერიძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა. აღნიშნული მოტივით საქართველოს პარლამენტმა მას უფლებამოსილება შეუწყვიტა.

კითხვა: შეესაბამებოდა თუ არა კონსტიტუციას პარლამენტის გადაწყვეტილება და სად შეუძლია ირაკლი ნებიერიძეს პარლამენტის გადაწყვეტილების გასაჩივრება?

*

საქართველოს პარლამენტმა „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლში გამარტივებული წესით ერთი მოსმენით შეიტანა ცვლილება და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელწოდება განსაზღვრა, როგორც ეკონომიკის სამინისტრო.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა საქართველოს პარლამენტი ერთი მოსმენით მიეღო მოცემული კანონპროექტი?

*

საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, მისივე პოლიტიკური პარტიიდან პარლემენტის 40 დეპუტატის მოთხოვნით, რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა პრეზიდენტი მოეწვია საგანგებო სესია?

*

აგვისტოს თვეში, მაშინ როდესაც საქართველოს პარლამენტის მორიგი სესია უკვე დახურული იყო, დეპუტატთა 48 კაციანმა შემადგენლობამ (რომლებიც ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენდნენ) განაცხადა, რომ მთავრობამ უხეში პოლიტიკური შეცდომა დაუშვა. შესაბამისად, მათ პრეზიდენტს საგანგებო სესიის მოწვევა მოსთხოვეს, რათა შემდეგ პარლამენტი შეიკრიბოს და მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს. პრეზიდენტმა გადაწყვიტა რიგგარეშე სესია არ მოეწვია.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა პარლამენტი შეიკრიბოს?

*

საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა 1/3-ის მოთხოვნით პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა აღიძრა. საკითხი დასკვნისთვის უზენაეს სასამართლოს გადაეცა. უზენაესმა სასამართლომ საკითხი განიხილა და გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლითაც პრეზიდენტი დამნაშავედ გამოაცხადა და მას 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იმავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ პრეზიდენტი აღნიშნულ სასჯელს მოიხდიდა მას შემდეგ, რაც დაუმთავრდებოდა საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა.

კითხვა: დაარღვია თუ არა უზენაესმა სასამართლომ საქართველოს კონსტიტუცია?

*

საქართველოს პარლამენტმა 55 დეპუტატის მხარდაჭერით პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებბიდან გადაყენების შესახებ საკითხი იმ მოტივით აღძრა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. საკითხი დასკვნისათვის საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეცა, რომელმაც თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა დანაშაული ჩაიდინა, შესაბამისად, ის აღნიშნულ ქმედებაში დამნაშავედ მიიჩნია. დასკვნა პარლამენტს გადაეცა, რომელმაც განიხილა და 2/3-ის მხარდაჭერით პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურები?

*

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „სამართლიანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა (ფრაქციის შემადგენლობაში ჯამში 49 დეპუტატია) განაცხადეს, რომ პრეზიდენტმა მიმდინარე წლის 24 თებერვალს თაღლითობა ჩაიდინა, რაც, მათივე განმარტებით, პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა. პარლამენტის დეპუტატთა კონსტიტუციით განსაზღვრულმა რაოდენობამ მართლაც აღძრა პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა, უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დაადასტურა, თუმცა აღნიშნულ ფრაქციას მხარი არ დაუჭირა დეპუტატების შესაბამისმა რაოდენობამ და შესაბამისად პრეზიდენტის იმპიჩმენიტს წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

აღნიშნულის შემდეგ იმავე ფრაქციამ მომდევნო წლის 12 იანვარს განაცხადა, რომ პრეზიდენტმა თაღლითობა კვლავ ჩაიდინა და იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა. დეპუტატთა 1/3-მა კვლავ დააყენა იგივე მოთხოვნა კენჭისყრაზე, თუმცა მოცემულმა საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დეპუტატთა ნაწილის აზრით, ფრაქცია „სამართლიანი საქართველოს“ წინადადება კონსტიტუციის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. ამის მიუხედავად, იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრის შესახებ გადაწყ-

ვეტილება მაინც იქნა მიღებული. საკითხი დასკვნისათვის საქართველს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა და საკითხის გადაგზავნასთან ერთად პარლამენტმა მიმართა კითხვით: შეიცავდა თუ არა პრეზიდენტის 12 იანვარს განხორციელებული და წინა წლის 24 თებერვალს ჩადენილი ქმედება მსგავსი დანაშაულის ნიშნებს?

უზენაესმა სასამართლომ მის მიერ გაკეთებული დასკვნა პარლამენტს გადაუგზავნა, თუმცა კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ის არ იყო უფლებამოსილი ამასთან დაკავშირებით პასუხი გაეცა.

პარლამენტმა განიხილა უზენაესი სასამართლოს დასკვნა და დეპუტატთა 1/2-ის მხარდაჭერით პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საკითხის კენჭისყრაზე დასმის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. ხმათა 2/3-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით პრეზიდენტი თანამდებობიდან გადააყენეს.

კითხვა: მოხდა თუ არა თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენება კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად?

*

საქართველოს პარლამენტმა ოპოზიციური ფრაქციის წევრის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა იმ მოტივით წამოიწყო, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. ამასთან, საქართველოს პარლამენტმა აღნიშნულ დეპუტატს იმუნიტეტი ერთხელ უკვე მოუხსნა, რის საფუძველზეც საგამოძიებო სამსახურმა მის მიმართ შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებები განახოციელა, თუმცა დანაშაულის ვერდამტკიცების გამო მას სადეპუტატო მანდატი აღუდგა. საქართველოს პარლამენტმა გადაწყვეტილება სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღო და საქართველოს პარლამენტის წევრს სადეპუტატო უფლებამოსილება იმპიჩმენტის წესით მოუხსნა.

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუციის ნორმები?

*

საქართველოს პარლამენტის 1/3-ის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ პროცედურა

იმ მოტივით აღიძრა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. საკითხი დასკვნისათვის საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეცა, რომელმაც განაცხადა, რომ, რამდენადაც საქმე სწორედ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ეხება, ის უფლებამოსილი არ არის განიხილოს საქმე და საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს გადასცა. ამ უკანასკნელმა თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები შეინიშნება. აღნიშნულის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, უზენაესი სასამართლოს თამვჯდომარე იმპიჩმენტის წესით გადააყენა. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურები დაარღვია, კერძოდ კი კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, პარლამენტს დასკვნის მიღების შემდეგ ჯერ კენჭი უნდა ეყარა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე გატანისთვის და ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება. ასევე, მისი განცხადებით, კონსტიტუციით განსაზღვრული შესაბამისი ხმათა რაოდენობა არა 1/2-ს, არამედ 2/3-ს შეადგენს.

კითხვა.: რამდენად დასაბუთებულია უზენაესი სასამართლოს განცხადება და დაირღვა თუ არა კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურები?

*

საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი 44 ხმით მიიღო. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს არ შეესაბამება. პარლამენტის თავმჯდომარემ კი განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება, რამდენადაც სხდომას ჯამში 79 დეპუტატი ესწრებოდა. შესაბამისად, დამსწრეთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონსტიტუციის აბსოლიტურად ყველა სავალდებულო მუხლის დაცვით იქნა მიღებული.

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია?

*

საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი კაპანაძემ პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა: იქ სადაც „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა წერია“, ამოღებულ იქნას „ავტონომიური“ და დარჩეს „აფხაზეთის რესპუბლიკა“. მისი თქმით, აღნიშნული აფხაზეთის აღიარებას არ ნიშნავს, მით უფრო სუვერენულ სახელმწიფოდ. მოცემულის მაგალითები რუსეთის ფედერაციაში გვხვდება, კერძოდ კი ჩეჩნეთის რესპუბლიკის შემთხვევაში, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ გვევლინება. აქვე დაამატა, რომ მოცემული აფხაზური მხარის ნებასაც ემთხვევა, რომლის შემდეგაც შესაძლებელია ტერიტორიული რეინტეგრაციის საკითხის მსჯელობის განახლება. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მოცემული ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებას წარმოადგენს და ამდენად შესაძლებელია მისი გამარტივებული წესით მიღება.

კითხვა: აქვს თუ არა მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს უფლება, განიხილოს საკითხი გამარტივებული წესით და საერთოდ არის თუ არა საქართველოს პარლამენტი დღეს მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილი განიხილოს საქმე გამარტივებული წესით?

*

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 24 აპრილს საქართველოს ახალი ხუთჯვრიანი დროშა 73 ხმის უმრავლესობით მიიღო.

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურა, იმის გათვალისწინებით, რომ კენჭისყრამდე ზუსტად 10 დღით ადრე პარლამენტის 4 დეპუტატი დაინიშნა სახელმწიფო მინისტრის თანამდებობებზე?

*

საქართველოს პალრამენტმა 59 ხმის უმრავლესობით (სხდომას ესწრებოდა 110 დეპუტატი) საქართველოს ორგა-

ნულ კანონში ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით მიიღო. მეორე მოსმენისას პროექტს მხარი დაუჭირა 66-მა დეპუტატმა (დამსწრე დეპუტატების რაოდენობა იყო 112). რაც შეეხება მესამე მოსმენას, ცვლილებებს მხარი დაუჭირა 73-მა დეპუტატმა (უნდა აღინიშნოს, რომ 150 პარლამენტის დეპუტატიდან 6 დეპუტატს უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდა სხვადასხვა მიზეზთა გამო და მათი უფლებამონაცვლეები ჯერ კიდევ არ იყვნენ დადგენილნი).

კითხვა: არის თუ არა კანონპროექტი საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის წესების შესაბამისად მიღებული?

*

საქართველოს მოქალაქემ, ბარბარა არევაძემ, რომელიც 80 წელსაა მიტანებული, საკანონმდებლო წინადადების წარდგენა გადაწყვიტა. ქალბატონმა ბარბარემ, რომელიც პროფესიით იურისტი არ იყო და არც კანონპროექტის მომზადების გამოცდილება გააჩნდა, წერილი დაწერა, რომელშიც მიუთითა, რომ, მისი აზრით, საქართველოს პარლამენტმა შესაბამის კანონში ცვლილება უნდა შეიტანოს, რომლის საფუძველზეც პენსია 320 ლარის ოდენობით განისაზღვრება.

კითხვა: აქვს თუ არა საქართველოს მოქალაქეს უფლება, აღნიშნული სახით მიმართოს საქართველოს პარლამეტს?

*

საქართველოს პარლამენტმა 115 დეპუტატის მხარდაჭერით „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი მიიღო. მიღებული კონსტიტუციური კანონის პროექტი პრეზიდენტს მიღებიდან მე-6 დღეს გადაეგზავნა. პრეზიდენტმა მე-10 დღეს პარლამენტს კანონპროექტი წერილითურთ დაუბრუნა, სადაც მოკლედ მიმოიხილა, თუ რატომ არ მოაწერა ხელი და რა შენიშვნები ჰქონდა. პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები განიხილა, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობამ ისინი მიუღებლად მიიჩნია და კენჭისყრაზე პირდაპირ კანონპროექტის ძველი რედაქცია გაიტანა. ამ შემთხვევაში კანონპროექტს მხარი დაუჭირა 105-მა დეპუტატმა (და არა 115-მა დეპუტატმა, რო-

გორც პირველი კენჭისყრის დროს). მიღებული კანონ-პროექტი პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეგზავნა. პრეზი-დენტმა განაცხადა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურები დაირღვა და შესაბამისად, ის არაკონსტიტუ-ციურ აქტს წარმოადგენდა, რის გამოც ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა კანონ-პროექტს ხელი მოაწერა და გამოაქვეყნა.

კითხვა: დაირღვა თუ არა კანონის მიღებისთვის კონსტი-ტუციით განსაზღვრული პროცედურები?

*

საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა, ლევან მაისაიამ კანონპროექტი მოამზადა და საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტში წარადგინა. კანონპროექტი თავდაპირ-ველად პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს გადაეცა, რომელმაც ის აღრიცხა და რეგისტრაციაში გაატარა. აღნიშ-ნულმა დეპარტამენტმა იგი ბიუროს გადაუგზავნა. ამ უკა-ნასკნელმა პროექტი განიხილა და სხვა საკითხებთან ერთად წამყვანი კომიტეტი და პროექტის საკომიტეტო და პლენა-რულ სხდომებზე განხილვის სავარაუდო თარიღები გან-საზღვრა. საქართველოს პარლამენტის ბიურომ საკითხი გა-ნიხილა და კანონპროექტის ავტორისთვის დაბრუნების თაო-ბაზე გადაწყვეტილება იმ მოტივით მიიღო, რომ მისი თან-დართული განმარტებითი ბარათი მონაცემებს საერთოდ არ შეიცავდა.

კითხვა: დაირღვა თუ არა კონსტიტუციითა და პარლამენ-ტის რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურები და ჰქონდა თუ არა ბიუროს უფლება, დაებრუნებინა კანონპროექტი ავ-ტორისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად?

*

საქართველოს მაქალაქე ლორენა ვადაჭკორიამ საქართვე-ლოს პარლამეტს წერილი მისწერა, რომელშიც ქალბატონმა პარლამენტს წინადადებით მიმართა და მოითხოვა, რომ სა-პენსიო ასაკი ქალთათვის 50 წლამდე შემცირებულიყო. ბი-ურომ აღნიშნული პროექტი განიხილა და წამყვან კომიტეტს გადასცა. თავის მხრივ, საკითხი ამ უკანასკნელმაც განიხილა

და ბიუროს დაუბრუნა. ბიურომ, ისე, რომ პლენარულ სხდომაზე არ გაუტანია, საკანონმდებლო წინადადება მოტივირებული გადაწ-ყვეტილებით უარყო.

კითხვა: ჰქონდა თუ არა ბიუროს უფლება, მიეღო გადაწყვეტილება კანონპროექტის უარყოფის შესახებ?

*

საქართველოს მაქალაქე ლავრენტი პერტაიამ საკანონმდებლო წინადადების უფლებით ისარგებლა და პარლამენტს წერილობითი ფორმით მიმართა, რომელშიც ასაბუთებდა, რომ მას და მრავალ მის მდგომარეობაში მყოფს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ (თუმცა არა საბჭოთა არმიის რიგებში) უნდა ჰქონდეთ მსგავსი უფლებები როგორც მათ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა არმიის მხარეს იბრძოდნენ.

საკანონმდებლო წინადადება წერილობითი გახლდათ, თუმცა, კანონპროექტის სახით არ იყო შედგენილი. საქართველოს პარლამენტის ბიურომ აღნიშნული საკითხი განიხილა და იგი განსახილველად შესაბამის კომიტეტს გადასცა. აღნიშნულის შემდეგ შესაბამისმა წამყვანმა კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადებას კანონპროექტის სახე მისცა და საპარლამენტო განხილვებისთვის წარადგინა. პარლამენტმა საკითხი განიხილა და იგი მიიღო. კანონი პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისა და გამოქვეყნების შემდეგ ძალაში შევიდა.

კითხვა: ვინ მიიჩნევა აღნიშნული კანონპრპოექტის მიმართ საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტად?

*

საქართველოს პარლამენტმა „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი დაჩქარებული წესით განიხილა. პარლამენტმა ერთ კვირაში განიხილა და მოცემული პროექტი მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ორშაბათს კანონპროექტს კენჭი უყარეს და საკითხის ირგვლივ დაწყებული კამათის გამო მხოლოდ პარასკევ დღეს გახდა შესაძლებელი მეორე და მესამე მოსმენით პროექტზე კენჭისყრის ჩატარება.

კითხვა: დაირღვა თუ არა განსაზღვრული საკანონმდებლო პროცედურების წესი?

*

საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისთვის მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევის თაობაზე „აჭარის ა/რ-ის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონში შესაბამისი ცვლილებების პროექტი მიიღო.

კითხვა: არის თუ არა საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილი განახორციელოს აღნიშნული ცვლილება?

*

ფრაქცია „ქართველი პატრიოტების“ წევრმა, გიორგი ნასიძემ საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით „ადამიანის ორგანოების გადანერგვის წესის შესახებ“ ახალი კანონპროექტი წარუდგინა. მისი თქმით, საქართველოში აღნიშნულის შესახებ კანონი არ არსებობს და უაღრესად მნიშვნელოვანია მისი მიღება. მოცემული კანონპროექტის არ არსებობით უამრავი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. სწორედ ამიტომ მისი დაჩქარებული წესით მიღება მოითხოვა.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა პარლამენტი დაჩქარებული წესით მიიღოს აღნისშული კანონპროექტი?

*

საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც საპრეზიდენტო უფლებამოსილების პირველი ვადა უმთავრდება, გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში, რათა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა მეორეჯერ დაიკავოს. კანდიდატმა აღნიშნულის შესახებ საჯარო პრესკონფერენციაზე განაცხადა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება შეიტანა.

კითხვა: დაარეგისტრირებს თუ არა ცესკო პრეზიდენტობის კანდიდატად?

*

საქართველოს მოქალაქე ზვიად ზვიადაძემ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. ის არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ არის და არჩევნებში დამოუკიდებელ სუბიექტად მონაწილეობა სურს, რომელიც არცერთი პოლიტიკური პარტიის პოლიტიკას არ გაატარებს. აღნიშნული მიზნით ის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მისმა 5-მა მეგობარმა რეგისტრაციისათვის წარადგინა. ცესკომ მოქალაქე ზვიად ზვიადაძის რეგისტრაციაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ ის პოლიტიკურ პარტიას არ წარუდგენია.

კითხვა: დაარღვია თუ არა ცესკომ საქართველოს კანონმდებლობა?

*

ზურაბ ძლიერიშვილმა ამომრჩეველთა დაჟინებული მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. ცესკომ მას კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი უთხრა, რადგან მას საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა უკვე ორჯერ ეკავა. მართალია ბოლო საპრეზიდენტო ვადის შემდეგ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატი აირჩიეს, მაგრამ ცესკომ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია პრეზიდენტად ერთი და იმავე პირის ორზე მეტი ვადით არჩევა.

კითხვა: შეესაბამება თუ არა ცესკოს განმარტება საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს?

*

საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 60%-მა მიიღო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პირველივე ტურში გამარჯვებულად გამოასცხადა კანდიდატი,

რომელმაც რეგისტრირებულ ამომჩეველთა მხოლოდ 38% მიიღო.

კითხვა: კანონიერად გამოაცხადა თუ არა ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად მონაწილე კანდიდატი?

*

2001 წლის 24 თებერვალს, საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, ახალარჩეული კანდიდატის მიერ საპრეზიდენტო ფიცის წარმოთქმისას, მის მიმართ ტერორისტული აქტი განხორციელდა. ტერაქტის შედეგად იგი ადგილზე ისე გარდაიცვალა, რომ ფიცის ტექსტის დასრულება ვერ მოასწრო. ასეთ ვითარებაში წინა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე ის კვლავინდებურად ქვეყნის პრეზიდენტად რჩება. თუმცა, მოცემულ პოზიციას გარდაცვლილი პრეზიდენტობის კანდიდატის მომხრეები დაუპირისპირდნენ და აღნიშნეს, რომ ახალარჩეული პრეზიდენტი მას შემდეგ, რაც ფიცის ტექსტის წაკითხვას შეუდგება, რომელიც იწყება - „მე საქართველოს პრეზიდენტი“, უკვე ამ წამიდან პრეზიდენტად მიიჩნევა და, შესაბამისად, პრეზიდენტის მოვალეობა უნდა შეასრულოს არა წინა პრეზიდენტმა, არამედ პარლამენტის თავმჯდომარემ.

კითხვა: რომელია მართებული მსჯელობა?

*

საქართველოს პრეზიდენტმა ანდრო კუკავა და ირმა ბარაბაძე საქართველოს მთავრობის თანხმობით ესპანეთის სამეფოსა და იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებად დანიშნა. აღნიშნულის გარდა, საფრანგეთისა და ევროკავშირის ელჩები საქართველოში ერთპიროვნულად მიიღო.

კითხვა: რა პროცედურული დარღვევები იქნა დაშვებული?

*

საქართველოს პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც სამთავრობო გუნდს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა, პირველივე

კენჭისყრაზე (თუმცა სამთავრობო პროგრამას პარლამენტმა ნდობა არ გამუცხადა) პრემიერ-მინისტრი და მინისტრები დანიშნა.

კითხვა: რა პროცედურული დარღვევებია კაზუსში?

*

საქართველოს პრეზიდენტმა, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ფინანსთა მინისტრები თანამდებობიდან გადააყენა.

კითხვა: ჰქონდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტს უფლება, თანამდებობიდან გადაეყენებინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ფინანსთა მინისტრები?

*

საქართველოს პრეზიდენტმა, იმ მოტივით, რომ ქვეყანაში შემოსული იყო უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რის შემდეგაც ქვეყანა სრულმასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში ჩაერთო. იმავე დღეს მოწინააღმდეგე ძალების მიერ საქართველოს მსხვილ ქალაქებსა და დედაქალაქზე შეიარაღებული თავდახმა განხორციელდა. განადგურდა სამთავრობო შენობები და, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის შენობა.

საქართველოს პრეზიდენტმა იმ მოტივით, რომ მთელი ქვეყანა სამხედრო ოპერაციაზე იყო გადასული, სამთავრობო დაწესებულებები განადგურდა და პარლამენტის შეკრება რთული იყო, პარლამენტს მხოლოდ მესამე დღეს მიმართა მისი ბრძანებულების დამტკიცების მოთხოვნით, მაშინ როდესაც უკვე 48 საათი გასული იყო. საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ ვადის გაშვება საპატიოდ მიიჩნია და საომარი მდგომარეობა დაამტკიცა.

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია და კანონიერია თუ არა ქვეყანაში საომარი მდგომარეობის არსებობა?

*

საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნა გადაწყვიტა, იმ მოტივით, რომ მისი საქმიანობა ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნიდა. საქართველოს პარლამენტმა განმარტა, რომ პრეზიდენტის აღნიშნული ქმედება განპირობებული გახლდათ იმით, რომ ქ. მარნეულის საკრებულოში აბსოლუტურ უმრავლესობას პრეზიდენტის ოპონენტი პარტიის წარმომადგენლები შეადგენს. სწორედ ამ საფუძვლით საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტს თანხმობა არ მისცა.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა პრეზიდენტი დაითხოვოს აჭარის ა/რ-ის წარმომადგენლობითი ორგანო და მეორე მხრივ, საჭირო იყო თუ არა პარლამენტის თანხმობა?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ როგორც ამჟამად მოქმედი, ისე 2010 წლის კონსტიტუციის ასამოქმედებელი რედაქციითაც.

*

საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა ბრძნება გამოსცა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აღნიშნულ საკითხზე განაცხადა, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილი არ იყო ბრძანება გამოეცა და შესაბამისად, მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და აქტის გაუქმება მოითხოვა.

კითხვა: იყო თუ არა უფლებამოსილი საქართველოს პრეზიდენტი გამოეცა ბრძანება?

*

საართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებულება გააუქმა, რადგან, მისი განმარტებით, იგი უფლებამოსილი არ იყო აღნიშნული სახის დოკუმენტი მიეღო. პრემიერ-მინისტრმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და პრეზიდენტის იმ აქტის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მან, თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრის ბრძანებულება გააუქმა.

კითხვა: იყო თუ არა პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილი გამოეცა ბრძანებულება და ჰქონდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის აღნიშნული აქტის გაუქმების უფლება?

*

საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან მე-8 დღეს, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ, მთავრობასთან შეთანხმებით, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა წარუდგინა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, ასევე, მისი კონტრასიგნაცია ესაჭიროება.

კითხვა: რა პროცედურული ნორმები იქნა დარღვეული და ესაჭიროება თუ არა კონტრასიგნაცია უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენას?

*

საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით მარნეულის საკრებულოს საქმიანობა შეაჩერა. თუმცა, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას კონტრასიგნაციას პირადად ვერ გაუკეთებს და მოითხოვა, რომ მთავრობა ის სუბიექტი ყოფილიყო, რომელიც კონტრასიგნაციით პასუხისმგებლობას თავად აიღებდა.

კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი?

*

საქართველოს პრეზიდენტმა საქათველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ვითარების არსებობისას საომარი მდგომარეობა გამოაცხადა და ამასთან, დეკრეტით კონსტიტუციის

მე-18 და 21-ე მუხლები შეზღუდა. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნული დეკრეტის კონტრასიგნება არ მოახდინა.

კითხვა: ძალაშია თუ არა პრეზიდენტის დეკრეტი, რომლითაც შეზღუდა კონსტიტუციის მე-18 და 21-ე მუხლები?

*

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 15 აპრილს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დანიშნა. პრემიერ-მინისტრი ამ თარიღის დანიშვნას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და შესაბამისად, პრეზიდენტის განკარგულებას ხელი არ მოაწერა.

კითხვა: ჩატარდება თუ არა არჩევნები 2014 წლის 15 აპრილს, იმის გათვალისწინებით, რომ პრემიერ-მინისტრმა არ მოახდინა კონტრასიგნება პრეზიდენტის განკარგულებაზე.

*

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ვლადიმერ პეტროვს და ჯორჯ სორონსონს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭათ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მათ სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სასჯელი ჰქონდათ მისჯილი, რომელიც, მართალია, მათ უკვე მოიხადეს, მაგრამ მაინც მოცემული გარემოება საკმაოდ სერიოზულ საფუძელს წარმოადგენდა, რათა მას პრეზიდენტის ბრძანებულებისათვის თანახელმოწერა არ განეხორციელებინა.

კითხვა: სჭირდება თუ არა პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნება პრეზიდენტის აღნიშნულ ბრძანებულებას და მიენიჭება თუ არა პრემიერ-მინისტრის პოზიციის გათვალისწინებით ხსენებულ პირებს მოქალქეობა?

*

საქართველოს პრეზიდენტს 1.545.550 ათასმა საქართველოს მოქალაქემ რეფერენდუმის დანიშვნის თხოვნით მიმართა. სარეფერენდუმოდ უნდა გაეტანათ საკითხი, რომელიც საქართ-

ველოს პარლამენტის წევრობის მინიმალურ ასაკად 25 წლის განსაზღვრის საკითხს ეხებოდა. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნული საკითხის თაობაზე რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ მოცემული საკითხი კონსტიტუციით წესრიგდებოდა. პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც მან რეფერენდუმის დანიშვნაზე უარი განაცხადა, მოქალაქეებმა სასამართლოში გაასაჩივრეს, რომელმაც იგი გააუქმა და რეფერენდუმი დანიშნა.

რეფერენდუმზე მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი პარლამენტის წევრის მინიმალურ ასაკად 25 წლის განსაზღვრას დაუჭირა. მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ რეფერენდუმზე გატანილი საკითხის საქართველოს კონსტიტუციაში ასახვა გადაწყდა, რისთვისაც საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა. კომისიამ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროექტი ერთთვიან საჯარო განხილვაზე გაიტანა, რის შემდეგაც საპარლამენტო განხილვები დაიწყო, რაც კიდევ ორი კვირა გაგრძელდა. მოცემული მოქალაქეებმა გააპროტესტეს, რამდენადაც კანონის თანახმად, რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება ერთ თვეში მოქმედ კანონმდებლობაში უნდა აისახოს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სწორედ აღნიშნული მოტივით არ დანიშნა რეფერენდუმი, რადგან კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელებას თავდაპირველად ერთთვიანი საჯარო განხილვა სჭირდება და ამას გარდა, საპარლამენტო განხილვებისთვის საჭიროა დრო, რაც ერთ თვეში ვერ ჩაეტეოდა.

კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი? ჰქონდა თუ არა პრეზიდენტს უფლება, უარი ეთქვა რეფერენდუმის დანიშვნაზე?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის როგორც მოქმედი, ისე 2010 წლის ცვლილებებით.

*

საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს 200 000-მა მოქალაქემ რეფერენდუმის დანიშვნის თხოვნით მიმართა. პრეზიდენტმა საკითხი განიხილა და იმ მოტივით, რომ 200 000-დან 2000 პირი პატიმარს წარმოადგენდა, თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

კითხვა: დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის როგორც მოქმედი, ისე 2010 წლის ცვლილებებით.

*

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ლევან ნამორაძემ საქართველოს პრეზიდენტს მიმართა და საქართველოს ნარკოტიკული საშუალეების მოხმარების დეკრიმინალიზაციის თაობაზე რეფერენდუმის დანიშვნა და მისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განსაზღვრა სთხოვა.

კითხვა: მოცემულ საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციასა და „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანულ კანონს?

*

საქართველოს 265 000-მა ამომრჩეველმა საქართველოს პრეზიდენტს მიმართა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის ახალი სახეობის - სიკვდილის დასჯის შემოღების შესახებ რეფერენდუმის დანიშვა მოითხოვა.

საქართველოს პრეზიდენტმა რეფერენდუმის დანიშნვაზე უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ აღნიშნულით ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები იზღუდება. ამასთან, კონსტიტუციის 74-ე მუხლი კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად რეფერენდუმის დანიშვნას კრძალავს.

კითხვა: დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუცია?

*

ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ქვეყანას ახალი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ესაჭიროება, შესაბამისად, ის თანამდებობიდან გადადგა, თუმცა, გადადგომამდე პარლამენტი დაითხოვა, იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა მთავრობა ზედიზედ სამჯერ არ დაამტკიცა.

კითხვა: ვინ შეასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას ახალი პრეზიდენტის არჩევამდე?

*

27 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი განცხადებით თანამდებობიდან გადადგა და პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარე შეუდგა. ამ დროს მან საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება გადაწყვიტა, რაზეც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ იყო, საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის თანახმად, იგი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა, რადგანაც ამას კონსტიტუციის 76-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი უკრძალავს. ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ ის შინაგან საქმეთა, თავდაცვის ან იუსტიციის მინისტრებს და მით უმეტეს, არც მთლიანად მთავრობას არ ათავისუფლებდა. მან თანამდებობიდან მხოლოდ პრემიერ-მინისტრი გაათავი-სუფლა.

კითხვა: იყო თუ არა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი თანამდებობიდან გადაეყენებინა პრემიერ-მინისტრი?

*

საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობის სხდომა მოიწვია და მას თავადვე უხელმძღვანელა. პრემიერ-მინისტრმა და მინისტრებმა (თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების გარდა) განაცხადეს, რომ ისინი ვალდებულნი პრეზიდენტის მიერ მოწვეულ მთავრობის სხდომას არ არიან დაესწრონ და შესაბამისად, აღნიშნულ სხდომაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა, ერთი მხრივ, პრეზიდენტი მოეწვია მთავრობის სხდომა და მეორე მხრივ, არის

თუ არა მთავრობის წევრი უფლებამოსილი, უარი განაცხადოს არასაპატიო მიზეზით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომაში?

*

საქართველოს პრმიერ-მინისტრმა, ქვეყანაში არსებულ საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბრძანება გამოსცა, რომლითაც მე-5 ქვეითი ბატალიონის გენერლად ივანე მახარაძე დანიშნა.

კითხვა: იყო თუ არა პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილი, გამოეცა აღნიშნული სახის და შინაარსის აქტი?

*

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2012 წლის 24 მარტს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. საქართველოს პრეზიდენტმა ახლის შერჩევამდე მას დროებით პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება სთხოვა. 10 დღის შემდეგ პრეზიდენტმა ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა შეარჩია და ისე დანიშნა, რომ პარლამენტისთვის ნდობის გამოცხადება არ უთხოვია. პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს კონსტიტუცია ასეთ შემთხვევაში მთავრობის შემადგენლობის პარლამენტისთვის ნდობის მისაღებად წარდგენას არ ავალდებულებდა. პრეზიდენტის აზრით, მთავრობის ძველ შემადგენლობას ნდობის მისაღებად პარლამენტში ხელახლა წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში სჭირდება, როდესაც მთავრობის შემადგენლობა 1/3-ის შემადგენლობით იცვლება. რამდენადაც პრემიერ-მინისტრის ცვლილება იყო ძველი შემადგენლობისთვის პირველი ცვლილება, ძველი შემადგენლობისთვის ხელახლა ნდობის გამოცხადება არ არის აუცილებელი.

კითხვა: რა პროცედურული დარღვევებია მოცემულ კაზუსში?

*

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგა. პრემიერ-

მინისტრმა ახალი კანდიდატურა შეარჩია და მისი დანიშვნა გადაწყვიტა. პრეზიდენტმა, თავის მხრივ, გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობაზე კანიდატურა თავადაც შეარჩია.

კითხვა: ვინ არის უფლებამოსილი მინისტრის თანამდებობაზე დანიშნოს კანდიდატი? შეძლებს თუ არა პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი ერთპიროვნულად საკუთარი კანდიდატის გაყვანას?

*

საქართველოს პრეზიდენტის მირ ფიცის დადების შემდეგ წინა პრეზიდენტს უფლებამოსილება შეუწყდა და ძველმა მთავრობამაც ახალი პრეზიდენტის წინაშე უფლებამოსილება მოიხსნა. პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ძველი მთავრობიდან მხოლოდ ნაწილს დაავალოს უფლებამოსილების შესრულება, ხოლო დარჩენილ ვაკანტურ პოსტებზე ახალი კანდიდატურები შეარჩია.

კითხვა: იყო თუ არა პრეზიდენტი უფლებამოსილი განეხორციელებინა აღნიშნული ქმედება?

*

საქართველოს პრეზიდენტმა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პარლამენტში ფრაქციები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო (რამდენადაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთმანეთს დაემთხვა და პოლიტიკურმა პარტიებმა კონსულტაციების გამართვა ფრაქციების ჩამოსაყალიბებლად ვერ მოახერხეს), კომიტეტებთან კონსულტაციის შემდეგ 7 დღის ვადაში პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა შეარჩია, ხოლო ამ უკანასკნელმა 10 დღეში მინისტრების - კანდიდატურები. შერჩეულმა პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტის თანხმობით, ნდობის მისაღებად პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა წარუდგინა.

კითხვა: დაირღვა თუ არა კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურული ნორმები?

*

საქართველოს პარლამენტმა 5 დღის ვადაში მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი განიხილა და 73 ხმის უმრავლესობით (პარლამენტის სიითი შემადგენლობა 145 დეპუტატი იყო) მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა.

კითხვა: დაირღვა თუ არა კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურული ნორმები?

*

საქართველოს პარლამენტმა მთავრობის წარდგენილ შემადგენლობასა და პროგრამას ნდობა არ გამოუცხადა. ამასთან, ცალკე კენჭისყრით განიხილა და ხმათა უმრავლესობით შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატის აცილების საკითხი დასვა.

საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილ ახალ კანდიდატურას არ დაეთანხმა და პრემიერ-მინისტრს მთავრობის იმავე შემადგენლობის წარდგენა (შინაგან საქმეთა მინისტრობის იმავე კანდიდატით) დაავალა.

საქართველოს პარლამენტმა საკითხი განიხილა და კვლავინდებურად იგივე გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნულის სამგზის განმეორების შემდეგ პრეზიდენტმა პარლამენტის დათხოვნა გადაწყვიტა.

კითხვა: აქვს თუ არა პრეზიდენტს ამ შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნის უფლება და რა ნორმები დაირღვა მთავრობის ფორმირების პროცესში?

*

საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის გადაყენების შესახებ გაგაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო და ახალი შემადგენლობის შერჩევის შემდეგ იგი ნდობის მისაღებად წარადგინა. პარლამენტმა მთავრობის ახალ შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას ნდობა ზედიზედ სამჯერ არ გამოუცხადა, რის შემდეგაც პრეზიდენტმა გადაწყვიტა, პარლამენტის აღნიშნული პოზიციის მიუხედავად, მთავრობის ახალი შემადგენლობა მაინც დაენიშნა და პარლამენტი დაეთ-

ხოვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც პარლამენტი სულ 3 თვის არჩეული იყო, პრეზიდენტმა პარლამენტის დათხოვნა ვერ შეძლო.

კითხვა: შეუძლია თუ არა პრეზიდენტს მაინც დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და მისცეს თანხმობა ამ უკანასკნელს მინისტრების დანიშვნაზე?

*

საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის ის შემადგენლობა, რომელსაც პარლამენტმა უკვე სამჯერ ზედიზედ არ გამოუცხადა ნდობა, ნდობის მისაღებად ხელახლა წარადგინა. საქართველოს პარლამენტართა ნაწილის განცხადებით, მოცემული საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენს, რის გამოც პრეზიდენტის მიმართ აუცილებლად იმპიჩმენტის პროცედურა უნდა დაიწყოს (საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლის დარღვევის გამო).

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა პარლამენტი აღძრას მოცემული დარღვევის შემთხვევაში იმპიჩმენტის პროცედურა?

*

ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ახალი მთავრობის ჩამოყალიბების მიზნით მთავრობა გადააყენა და ახალი მთავრობის ფორმირება დაიწყო.

კითხვა: უფლებამოსილი არის თუ არა ახალაჩეული პრეზიდენტი გადააყენოს მთავრობა?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ცვლილებებით.

*

საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილმა მთავრობის შემადგენლობამ 30 დღის ვადაში ნდობა ვერ მიიღო. აღნიშნული მიზეზით პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე 55 დეპუტატის მიერ წარდგენილი კანდიდატურა წა-

რადგინა. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა მთავრობის იგივე შემადგენლობა, რომელიც პრემიერ-მინისტრობის პირველ კანდიდატს ჰყავდა წარდგენილი, ნდობის მისაღებად წარადგინა. პარლამენტმა აღნიშნულ შემადგენლობას 74 ხმით ნდობა გამოუცხადა (პარლამენტის სიითი შემადგენლობა 148 დეპუტატს შეადგენდა).

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურული წესები?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ცვლილებებით.

*

პრეზიდენტმა სამთავრობო შემადგენლობა ნდობის მისაღებად პარლამენტს ხელმეორედ წარუდგინა, თუმცა პარლამენტმა ნდობა განმეორებით წარდგენილ შემადგენლობასაც არ გამოუცხადა. ამის შემდეგ 61-მა დეპუტატმა პრეზიდენტს კანდიდატურა შესთავაზა, ასევე დეპუტატთა მეორე, 62 კაციანმა შემადგენლობამაც თავისი კანდიდატურა შესთავაზა. პრეზიდენტმა წარდგენილთაგან პირველი კანდიდატი შეარჩია და პარლამენტს ნდობის მისაღებად წარუდგინა (სამთავრობო შემადგენლობის შეუქმნელად). პარლამენტმა იმ მოტივით, რომ მთავრობის შემადგენლობა წარდგენილი არ იყო, მას ნდობა არ გამოუცხადა. პრეზიდენტმა აღნიშნულის შემდეგ მთავრობის განახლებული შემადგენლობა ხელახლა აღარ წარადგინა და პარლამენტი მეორე დღესვე დაითხოვა. ამის შემდეგ, მართალია, პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტი არ გამოუცია, თუმცა ფაქტობრივად ისინი საქმიანობის განხორციელებას მაინც შეუდგნენ.

კითხვა: საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული რა პროცედურული ნორმები დაირღვა?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ცვლილებებით.

*

85 დეპუტატის უმრავლესობით საქართველოს პარლამენტში მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების პროცედურა აღიძრა. უნდობლობა კი 126 დეპუტატის უმრავლესობით იქნა გამოცხადებული. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას უნდობლობა დეპუტატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 4/5-ზე მეტმა გამოუცხადა, საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის გადაწყვეტილება მაინც არ გაიზიარა.

კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება პრეზიდენტს არ გაეზიარებინა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება?

*

საქართველოს მთავრობას პარლამენტმა 89 დეპუტატის უმრავლესობით კვლავ უნდობლობა გამოუცხადა. აღსანიშნავია, რომ პირველი უნდობლობის გამოცხადებიდან გასული მხოლოდ 90 დღე იყო და იმ დროს უნდობლობის გამოცხადებას მხარი დეპუტატთა არა 89, არამედ 135-მა წევრმა დაუჭირა.

პრეზიდენტმა პარლამენტის გადაწყვეტილება არ გაიზიარა და პარლამენტის დათხოვნა გადაწყვიტა, თუმცა რამდენადაც პარლამენტის არჩევნებიდან 6 თვე გასული არ იყო, პარლამენტის დათხოვნა ვერ მოახერხა.

კითხვა: პარლამენტის დათხოვნის შეუძლებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია თუ არა პრეზიდენტი არ გაიზიაროს მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება?

სხვა რა პროცედურული დარღვევებია კაზუსში?

*

საქართველოს პარლამენტის 90-მა დეპუტატმა მთავრობას პირველივე მცდელობაზე უპირობო უნდობლობა გამოუცხადა. საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის გადაწყვეტილება არ გაიზიარა და მისი დათხოვნა გადაწყვიტა.

კითხვა: აქვს თუ არა პრეზიდენტს უფლება პარლამენტის გადაწყვეტილება არ გაიზიაროს და მოცემულ შემთხვევაში დაითხოვოს პარლამენტი?

*

იმის გამო, რომ მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს არ შეესაბამებოდა, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება გადაწყვიტა და ხმათა 1/3-ის უმრავლესობით მოცემული პროცედურა წამოიწყო. ამასთან, დეპუტატებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის საფუძველზე წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და რომლის განხორციელებასაც, თავის მხრივ, მთავრობა უზრუნველყოფს, პასუხისმგებელია, ასევე, მოცემული წარუმატებელი პოლიტიკის განხორციელებაზე. პარლამენტმა წევრთა 105 ხმის უმრავლესობით პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყო.

კითხვა: საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული რა პროცედურები იქნა დარღვეული?

*

საქართველოს პარლამენტის 61 კაციანმა შემადგენლობამ უნდობლობის გამოცხადების შესახებ საკითხის აღძვრის მოთხოვნით პარლამენტს მიმართა. მიმართვიდან სამი კვირის თავზე პარლამენტმა აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა და მთავრობას ნდობა არ გამოუცხადა.

კითხვა: რა პროცედურული დარღვევებია კაზუსში?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ცვლილებებით.

*

დეპუტატთა 76 კაციანმა შემადგენლობამ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების მოთხოვნით პარლამენტს მიმართა. დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ მთავრობის მიერ

განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას ფინანსურ კრიზისში ჩაითრევდა. მიმართვიდან 24-ე დღეს პარლამენტმა იმსჯელა და უნდობლობის საკითხის აღძვრას მხარი მხოლოდ 74-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ამ უკანასკნელი კენჭისყრიდან 4 თვის თავზე, იმ მოტივით, რომ მთავრობის მიერ განხორციელებული იგივე პოლიტიკა ეკონომიკურ საკითხებში ქვეყნისთვის დამღუპველია, 62-მა დეპუტატმა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ პარლამენტისთვის მიმართვა გადაწყვიტა.

კითხვა: იყო თუ არა მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული 62 დეპუტატი უფლებამოსილი, მიემართა პარლამენტისთვის მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ცვლილებებით.

*

პარლამენტის დეპუტატმა პარლამენტს მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების პროცედურის აღძვრის თაობაზე მიმართა. პარლამენტმა მიმართვიდან 24-ე დღეს აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა და 80 ხმით მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხი აღძრა. აღნიშნულიდან კიდევ 20 დღის გასვლის შემდეგ პარლამეტმა დეპუტატების მიერ დასახელებულ 2 კანდიდატურას კენჭი უყარა, რომელთაგან უმრავლესობის მხარდაჭერა მხოლოდ ერთმა მოიპოვა, თუმცა მის წარდგენაზე პრეზიდენტმა უარი განაცხადა. პარლამენტის აზრით პრეზიდენტს უფლება არ ჰქონდა, პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წარდგენაზე უარი განეცხადებინა, ამიტომ კვლავინდებურად კენჭი უყარა და იმავე უმრავლესობით იგივე კანდიდატურა ხელახლა წარადგინა. პრეზიდენტმა კანდიდატურის წარდგენაზე ამჯერადაც უარი განაცხადა. პარლამენტმა იმავე კანდიდატურას კენჭი მესამეჯერაც უყარა და უკვე ხმათა 2/3-ის მხარდაჭერით პრემერ-მინისტრობის კანდიდატად წარადგინა. პრეზიდენტმა მესამეჯერ წარგენილი კანდიდატი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენა.

წამოყენებულ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა, რის შემდეგაც იგი მთავრობის ფორმირებას შეუდგა. 7 დღის ვადაში მან პრეზიდენტს მინი-

სტრობის კანდიდატები წარუდგინა, რომელმაც, თავის მხრივ, 10 დღის ვადაში პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობა წარუდგინა. პარლამენტმა ახალ შემადგენლობას ნდობა ამჯერადაც გამოუცხადა, თუმცა ისე, რომ უკვე თვეების წინ ძველი მთავორბის შემადგენლობისთვის აღძრული უნდობლობის საკითხზე უნდობლობის გამოცხადების გადაწყვეტილება არ მიუღია.

კითხვა: უფლებამოსილია თუ არა ახალი მთავრობის შემადგენლობა შეუდგეს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას და მთავრობისთვის უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმის საფუძველზე გამოცხადებული უნდობლობისას რა პროცედურული დარღვევებია კაზუსში?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ცვლილებებით.

*

მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხის აღძვრიდან 22-ე დღეს დეპუტატთა ორი სხვადასხვა ფრაქციის მხრიდან კანდიდატურები იქნა წარდგენილი. პარლამენტმა ორივე კანდიდატურაზე იმსჯელა, თუმცა ვერცერთმა მათგანმა უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მიიღო. კენჭისყრა 25-ე დღეს კიდევ ერთხელ გაიმართა, თუმცა უმრავლესობის მხარდაჭერა ვერც ამჯერად ვერ მიიღო.

აღნიშნულის შემდეგ კვლავინდებურად ორი კვირის თავზე პარლამენტმა ხელახლა კენჭისყრა გადაწყიტა და 80 ხმით პრეზიდენტს პრემირ-მინისტრობის კანდიდატი წარუდგინა. მოცემული პროცედურის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მთავრობის ფორმირების პროცესი დაიწყო.

კითხვა: კონსტიტუციით განსაზღვრული რა მოთხოვნები დაირღვა?

კაზუსის ამოხსნისას იხელმძღვანელეთ საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის ცვლილებებით.

*

საქართველოს პარლამენტი მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხს იხილავდა. პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურა წამოაყენა, თუმცა პარლამენტმა მთავრობას ნდობა მაინც არ გამოუცხადა. პრეზიდენტმა ახალი კანდიდატურის წარდგენა არც კი სცადა და პარლამენტი პირდაპირ დაითხოვა. ამასთან, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ვერ მოახერხა, რამდგანაც ქვეყანაში საომარი მდგომარეობა იყო.

კითხვა: რა პროცედურული დარღვევებია კაზუსში?

*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა პრემიერ-მინისტრთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ თანამდებობაზე მისი მოადგილეები დანიშნა. პრეზიდენტმა იმ მოტივით, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა დაირღვა, მინისტრის შესაბამისი ბრძანება გააუქმა.

კითხვა: დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა?

*

საქართველოს პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში იმ მოტივით მოსთხოვა, რომ 5 აგვიტოდან 7 სექტემბრამდე მთავრობას არცერთი სამთავრობო სხდომა არ ჩაუტარებია. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მას ვალდებულება არ აქვს ანგარიში ჩააბაროს საქართთველოს პრეზიდენტს. რაც შეეხება იმას, რომ აღნიშნულ ვადაში სამთავრობო სხდომა არ ჩატარებულა, მოცემული იმ მიზეზით იყო გამოწვეული, რომ აგვისტოს თვეში მთავრობის წევრები კუთვნილი შვებულებებით სარგებლობდნენ.

პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის საჯაროდ გაკეთებული განცხადება არ გაიზიარა და მთავრობა გადააყენა.

კითხვა: დაირღვა თუ არა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ნორმები?

*

საქართველოს კონსტიტუციისა და „სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტმა თანამდებობაზე სახემწიფო რწმუნებული - გუბერნატორი დანიშნა. აღნიშნულზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 27[1]-ე მუხლშია განსაზღვრული, რომლის საფუძველზეც პრეზიდენტს ამ გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ შეეძლო და პრემიერ-მინისტრთან კონსულტაცია იყო საჭირო.

კითხვა: დაირღვა თუ არა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დანიშვნა/გათავისუფლების რომელი პროცედურა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს? რამდენად სწორი სამართლებრივი საფუძველი იქნა შერჩეული პრეზიდენტის გადაწყვეტილებისათვის?

*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთობლივი წარდგინების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განიხილა და თანამდებობაზე დანიშნა საქართველოს მთავარი პროკურორი. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობის ის აქტი გააუქმა, რომლითაც ამ უკანასკნელმა მთავარი პროკურორი თანამდებობაზე დანიშნა და პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს მთავარი პროკურორის კანდიდატურა წარუდგინა.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა საქართველოს პრეზიდენტი გაეუქმებინა კოლეგიური ორგანოს - მთავრობის სამართლებრივი აქტი და რა პროცედურული ნორმები დაირღვა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის დროს?

*

საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით პარლამენტის საგანგებო სესია მოიწვია და ნდობის მისაღებად მთავრობა წარადგინა. პარლამენტმა ახალ მთავრობას 70 ხმის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა.

კითხვა: უფლებამოსილი იყო თუ არა პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით მოეწვია საგანგებო სესია და დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია მთავრობისთვის კაზუსში მითითებული ფორმით ნდობის გამოცხადების დროს?

*

საქართველოს პარლამენტმა „სამხედრო სასამართლოების შესახებ“ სპეციალური კანონი მიიღო, რომლითაც საქართველოში ორი სამხედრო სასამართლო - სენაკისა და გორის სამხედრო ბაზებზე დადგინდა. მათ კომპეტენციად საჯარისო ნაწილებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებული დავების განხილვა განისაზღვრა.

საქართველოს მოქალაქე გიორგი ანდრონიკაშვილს მიაჩნია, რომ კანონი კონსტიტუციის მეორე თავით უზრუნველყოფილ უფლებებს არღვევს და კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც საქმე წარმოებაში მიიღო.

კითხვა: შეეძლო თუ არა პარლამენტს მსგავსი კანონის მიღება? შეაფასეთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედება.

*

2012 წელს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით 30 წლის საქართველოს მოქალაქე ელიზბარ გუნია თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა. მოსამართლის მონაცემებში აღნიშნულია, რომ მისი სტაჟი 10 წელს ითვლის: 2002-2003 წლებში იგი ადვოკატის თანაშემწედ მუშაობდა; 2003-2005 წლებში - ადვოკატად, ხოლო 2005-2011 წლებში კი ქ. რუსთავის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად. 2011 წელს იგი საადვოკატო საქმიანობას მიუბრუნდა.

კითხვა: შეაფასეთ, რამდენად კანონიერად მოხდა მოსამართლის დანიშვნა.

*

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სარჩელი არ დააკმაყოფილა და მოპასუხის შეგებებული სარჩელის საფუძველზე მუნიციპალიტეტს 10 000 ლარის გადახდა დააკისრა. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარს ამბობს იმ მოტივით, რომ ბათუმის სასამართლოს ტერიტორიული იურისდიქცია მასზე არ ვრცელდება; ამასთან, მოსამართლისაგან, რომელიც ხსენებულ საქმეს განიხილავდა, ახსნა-განმარტებას ითხოვს.

კითხვა: რამდენად საფუძვლიანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პოზიცია და ვალდებულია თუ არა სასამართლო მისცეს მას ახსნა-განმარტება?

*

მოსამართლე გიორგაძე ქრთამის აღებაშია ეჭვმიტანილი. პროკურატურამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის მიმართ შესაბამისი ღონისძიების გამოყენებისა და მისი სახლის ჩკრეკაზე თანხმობის გაცემის შუამდგომლობით მიმართა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა აღნიშნული თანხმობა გასცა, რის საფუძველზეც მოსამართლე დააკავეს და სახლის ჩხრეკა განხორციელდა. ამის თაობაზე გორის საქალაქო სასამართლოს ეცნობა, სადაც ხსენებული მოსამართლე გამწესებული გახლდათ. გორის სასამართლომ ფაქტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შეატყობინა, რომელმაც დაკავებული მოსამართლის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა, რაზეც პროკურატურამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მოსამართლის დაკავებაზე იუსტიციის საბჭოს თანხმობა არსებობდა.

კითხვა: განსაზღვრეთ შემთხვევაში მონაწილე თითოეული პირისა თუ ორგანოს საქმიანობის მართლზომიერება.

*

პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტი საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა, რადგან პარლამენტის წევთა აზრით, იგი კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებებს ზღუდავს. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო.

კითხვა: ჰქონდა თუ არა პარლამენტს აქტის გასაჩივრების უფლება და რამდენად მართებულად მოიქცა საკონსტიტუციო სასამართლო?

*

საქართველოს მთავრობამ 2 ნოემბერს პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი შეიტანა. რამდენიმეკვირიანი განხილვის შემდეგ პარლამენტმა ბიუჯეტი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წინადადებების გათვალისწინებით დაამტკიცა, რომელთაც, მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, კენჭი მაინც ეყარა.

საქართველოს მთავრობას აღნიშნული გადაწყვეტილება საკუთარ კომპეტენციაში ჩარევად მიაჩნია, რასაც პარლამენტი არ იზიარებს.

კითხვა: რომელი ორგანოს პოზიციაა მართებული და დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია?

*

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით პარლამენტს კანონპროექტი წარედგინა, რომელიც საშემოსავო გადასახადის 2%-ით გაზრდას ითვალისწინებს. აღნიშნულ ინიციატივას პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა, რის საპასუხოდაც პრეზიდენტმა პროექტი რეფერენდუმზე დასამტკიცებლად გაიტანა. რეფერენდუმის შედეგები დადებითი აღმოჩნდა, რის შემდეგაც პრეზიდენტმა კანონპროექტს ხელი მოაწერა და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოსაქვეყნებლად გადაუგზავნა.

კითხვა: შეაფასეთ შექმნილი გარემოება და განსაზღვრეთ თითოეული მოქმედების კონსტიტუციური ჩარჩოები.

*

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო და ქონების გადასახადი გაზარდა. საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი იმ მოტივით არ მიიღო, რომ სასამართლო უფლებამოსილი არაა განიხილოს საფინანსო და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული საქმეები.

კითხვა: დაირღვა თუ არა პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ კონსტიტუცია და რამდენად შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედება კანონმდებლობას?

*

საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს განხორციელებული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის წარმოდგენა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამის საპასუხოდ, მთავრობამ თავისი სამართლებრივი აქტით თანამდებობიდან გენერალური აუდიტორი გადააყენა და მის შემცვლელად პარლამენტს ფინანსთა მინისტრის კანდიდატურა წარუდგინა.

კითხვა: რამდენად კანონიერია საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებები?

*

საქართველოს მთავრობის წარდგინებით საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭო დააკომპლექტა, ხოლო პრეზიდენტის წარდგინებით საკანონმდებლო ორგანომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ერთხმად დაამტკიცა. საქართველოს გენერალურ აუდიტორს მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი სარჩელით მიმართა. სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად სცნო.

კითხვა: მოქმედებდნენ თუ არა კონსტიტუციურ ჩარჩოებში სახელმწიფო ორგანოები და რამდენად საფუძვლიანი გახლდათ გენერალური აუდიტორის ქმედება?

*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს, ალექსანდრე გოგიბერიძეს საბჭოს წევრის სტატუსი შეუჩერდა. საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ უზენაესმა სასამართლომ არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და დიდი პალატის განჩინება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

კითხვა: რამდენად კანონიერია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და პარლამენტის ქმედება? რა იქნება მდგომარეობიდან გამოსვლის საუკეთესო სამართლებრივი გზა?

*

პარლამენტმა „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, რომლითაც ახალი თანამდებობა - ეროვნული უშიშორების საბჭოს თავმჯდომარე განისაზღვრა, რომელსაც თანამდებობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ნიშნავს.

კითხვა: ჰქონდა თუ არა პარლამენტს მსგავსი მოწესრიგების შემუშავების უფლებამოსილება?

*

პრეზიდენტმა პარლამენტს „სამხედრო ძალების ოდენობისა და სტრუქტურის შესახებ“ კანონპროექტი წარუდგინა, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ყვარლის მუნიციპალიტეტს მიაჩნია, რომ კანონით კონსტიტუცია ირღვევა და იგი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

კითხვა: რამდენად კონსტიტუციურია კანონი და არის თუ არა ყვარლის მუნიციპალიტეტი ამ შემთხვევაში უფლებამოსილი მოსარჩელე?

*

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ზესტაფონის სახელით გადაწყვეტილება მიიღო და მისი მოქმედების არეალი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიით შემოზღუდა, რასაც საქართველოს კონსტიტუციის 101[3]-ე მუხლის მე-2 პუნქტით ასაბუთებს.

სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

კითხვა: რამდენად მართებულია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს პოზიცია და სწორია თუ არა სახელმწიფო რწმუნებულის მოქმედება?

*

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქარელის ტერიტორიაზე ქუჩებისათვის სახელწოდების მინიჭების ერთიანი წესი დაამტკიცა. შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულს მიაჩნია, რომ ეს წესი საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გაასაჩივრა, რომელმაც განხილვის შემდეგ საკრებულოს გადაწყვეტილება გააუქმა.

კითხვა: რამდენად კანონიერად მოქმედებდა სახელმწიფო რწმუნებული და პრემიერ-მინისტრი?

*

საქართველოს მთავრობამ ნორმატიული აქტით საქართველოს უშიშროების საბჭოს დაკომპლექტების წესი განსაზღვრა, რომლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე აირჩია. ამ უკანასკნელმა საკუთარი წარდგინებით პარლამენტს საქართველოს სამხედრო ჯარის რაოდენობის გაზრდა შესთავაზა, რასაც საკანონმდებლო ორგანომ კანონისათვის აუცილებელი ქვორუმის ფარგლებში მხარი დაუჭირა.

კითხვა: შეაფასეთ მდგომარეობა სამართლებრივად და იმსჯელეთ თითოეული ქმედების კონსტიტუციურობაზე.

*

ქობულეთის მუნიციპალიტეტმა საკონსტიტუციო სასამართლოში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რამდენიმე მუხლი გაასაჩივრა. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და გასაჩივრებული ნორმები გააუქმა. მოპასუხე - საქართველოს პარლამენტს მიაჩნდა, რომ მუნიციპალიტეტი არაუფლებამოსილი პირი გახლდათ და მისი სარჩელი საერთოდ არ უნდა განხილულიყო.

კითხვა: რამდენად მართებულია პარლამენტის არგუმენტაცია და სწორად მოიქცა თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო?

*

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დააკავეს. დაკავებამდე სამართალდამცავებმა სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართეს, რომელმაც მის დაკავებაზე თანხმობა გასცა. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მიიჩნევს, რომ უკანონოდაა დაკავებული.

კითხვა: რა უნდა მოიმოქმედონ სამართალდამცავებმა და რომელი მოსაზრებაა მართებული?

*

პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა და მას უფლებამოსილების ვადა ათი წლით გაუგრძელა.

პარლამენტის წევრი დავით ციციშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება უკანონოა და იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

კითხვა: გააჩნდა თუ არა პარლამენტს ამ შემთხვევაში უფლებამოსილება და რამდენად მართებულია ციციშვილის გადაწყვეტილება?

*

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად საქართველოს მოქალაქე, 30 წლის თენგიზ მაყაშვილი, დაინიშნა, რომელმაც დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი აიღო. ამასთან, მაყაშვილს სამართლის სფეროში პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია.

პარლამენტართა ნაწილს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება უკანონოა.

კითხვა: საფუძვლიანია თუ არა პარლამენტართა მოსაზრება?